სისტემა აბსურდულია, ხელისუფლება კი - ლეგიტიმური A3 | რა სარგებლობა მოაქვს ჰანკისის ხეობას A6 | TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
კვირა, 21 ივლისი, 2002 წელი. №49 ფასი 50 თეთრი

## საქართველო სუ(უ)ამ-ის სათავესთან - გადარჩება თუ არა ალიანსი?

გიორგი ხელაშვილი

*იალტაში შეკრებილი სუამ-ის ლიდერების ყურადღების ცენტრში ალიანსის ახალი საერთაშორისო ფუნქციის მოძებნის საკითხი დადგა. გაერთიანების საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტა ქართულ დიპლომატიას დაეკისრება. აქვს თუ არა ალიანსს პერსპექტივა?*

გუშინ იალტაში საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის (სუამ-ის) პრეზიდენტების შეხვედრა გაიმართა, ამჯერად უზბეკეთის პრეზიდენტის მონაწილეობის გარეშე. ჰეიდარ ალიევმა გაერთიანების თავმჯდომარეობა ოფიციალურად გადასცა ედუარდ შევარდნაძეს.

საქართველომ გაერთიანების თავმჯდომარეობა სუამ-ის არსებობის ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდში გადაიბარა. ქართული დიპლომატიის აქტიურობაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ამ ალიანსის შენარჩუნება, რომელიც დღეს დიდი სარგებლის მომტანი არ ჩანს, მაგრამ მომავლის გეოპოლიტიკურ სქემებში, შეიძლება, მნიშვნელოვან ადგილს იკავებდეს. ალიანსის მომავალი მის შემაკავშირებელ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

რა აერთიანებდა აქამდე სუამ-ის ქვეყნებს ერთ ალიანსში? - ალბათ, რამდენიმე მოტივი. უპირველეს ყოვლისა, შეერთებული შტატების მხარდაჭერა; მეორე, რუსეთის პოლიტიკური გავლენის წინააღმდეგ ერთმანეთის დახმარება; მესამე, ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივა; მეოთხე, საერთაშორისო ტრანზიტული დერეფნის პერსპექტივები.

ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგიონში განვითარებულმა პროცესებმა ამ ოთხივე ფაქტორზე მნიშვნელოვანი, ძირითადად, უარყოფითი გავლენა მოახდინა. რუსეთმა მეტ-ნაკლებად საერთო ენის გამონახვა შეძლო ალიანსის მონაწილე ყველა ქვეყანასთან, საქართველოს გარდა. ურთიერთობის მოგვარებამ უკრაინის, აზერბაიჯანის, უზბეკეთისა და მოლდავეთისთვის მნიშვნელოვნად შეამცირა რუსეთისაგან წამოსული საფრთხის, როგორც გამაერთიანებელი ფაქტორის, როლი.

მეორე მხრივ, თითქმის დავიწყებას მიეცა ის დიდი იმედები, რომლებიც "აბრეშუმის გზის" აღდგენას და ენერგეტიკული დერეფნის აგებას უკავშირდებოდა. სუუამ-ის სახელმწიფოებს, ჯერჯერობით, მეტად მცირე რესურსები გააჩნიათ ერთმანეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის გასაღრმავებლად. ევრაზიული დერეფნების პროექტების პერსპექტივები კი მხოლოდ ოდნავ დაუახლოვდნენ რეალობას და სერიოზული პროგრესი არ განუცდიათ.

გაგრძელება A5 გვერდზე



ირაკლი მენაღარიშვილი შეფიქრიანებულია

## „სამართლიან არჩევნებს" ავიწროვებენ

თამარ მჭედლიშვილი

ზუგდიდის არჩევნებიდან ერთი კვირის თავზე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, "სამართლიანი არჩევნების" წევრები უკვე კატეგორიულად აცხადებენ, რომ მათ წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანია ხორციელდება. პოლიციამ არათუ არ გამოიძია ზუგდიდში მომხდარი ყაჩაღობა (მაშინ "სამართლიან არჩევნებს" ავტომანქანა, პირადი ნივთები და ფული წაართვეს), არამედ ქუთაისის ოფისის გაქურდვაც აბსოლუტურად უყურადღებოდ დატოვა.

**"ჩვენს წინააღმდეგ უკვე პოლიტიკური დევნა-შევიწროვება მიმდინარეობს. ამის მტკიცების საფუძველს ქუთაისის ოფისის დათვალიერება გვაძლევს. საქმე ის არის, რომ ქურდებმა მხოლოდ 2 კომპიუტერის პროცესორი და მონიტორი წაიღეს, გადაჭრილია ტექნიკის შემაერთებელი კაბელები. შესაბამისად, კომპიუტერები აღარ გამოდგება შემდგომი ექსპლუატაციისთვის",** - განუცხადა "24 საათს" "სამართლიანი არჩევნების" პრესმდივანმა **თამარ ჟვანიამ.** იგი ასკვნის, რომ ქურდებისთვის მნიშვნელოვანი იყო არა თავად კომპიუტერების წაღება, არამედ იმ ინფორმაციის განადგურება, რაც იქ ინახებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ფოთელ მსახიობებს ალარავისი და ალარაფრის აღარ სჯერათ A3
სასტუმრო "მოსკოვს" ანგრევენ A3
ალბიონზე განათლება ძვირი სიამოვნებაა A4
"ბოევიკი" საგარეჯოს კოლონიაში A4
ჯაშუშების მუზეუმი A4
გახმაურებულ მკვლელობაში ეჭვმიტანილი სოფიაში დააკავეს A4
ქალები ვარსკვლავების ქვეშ A6
ერთი დღე "სამოთხეში" A6
ბრავო, ჟაჟა, ბრავო! A7
საბონისის ჭერია A7
შაკილ ონილი ახალ ამპლუაში A7

**ამინდი**

| | |
|---|---|
| თბილისი | 31 |
| ქუთაისი | 33 |
| ბათუმი | 32 |
| სოხუმი | 33 |
| ფოთი | 33 |
| თელავი | 29 |
| ზუგდიდი | 34 |
| გორი | 28 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2000 |
| ევრო | 2.2343 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.4784 |
| რუბლი | 0.0697 |

## დასიცხული ბიურო ინტერფრაქციულ ჯგუფებს ქმნის

თამარ ხორბალაძე

ქობულეთის მზით დასიცხულ ბიუროს ისეთი ცხელ-ცხელი თემები ჰქონდა გასარჩევი, ორდღიანი განსჯების შემდეგ, სრულ კი არა, დაახლოებით კონსენსუსამდეც ვერ მივიდა. ერთადერთი, რაზეც ისინი შაბათს თითქმის შეთანხმდნენ, ინტერფრაქციული ჯგუფების შექმნის პერსპექტივაა. მთელი იმ დისკუსიიდან, რომელიც პირველ დღეს გაიმართა, ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა: პარლამენტი ისევ არ დაუჭერს მხარს, პრეზიდენტის მიერ გასულ წელს უკვე შემოტანილ და ერთხელ უკვე დაწუნებულ, მინისტრთა კაბინეტის პროექტს. მით უმეტეს, რომ, მრეწველების განცხადებით, მათთან საუბარში საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, ამ პროექტს არც თავად ვიზიარებ და თანახმა ვარ, საკუთარი უფლებები გარკვეულწილად შევზღუდოო. ასეთი თანხმობის თაობაზე მრეწველებს მოწმედ უდგება ტრადიციონალისტი შალამბერიძე.

რადგან პრეზიდენტი საკუთარი უფლებების შეზღუდვაზე თანახმა ყოფილა, პარლამენტის ბიურომ

გაგრძელება A3 გვერდზე

## სეზონური პრობლემები მათხოვრობის ბიზნესში

ირმა კახურაშვილი

72 წლის მარგო ბებო, რომელიც ვაგზლის მოედნის ტერიტორიაზე, აგერ უკვე 11 წელია, "ღმრთისა და კეთილი ადამიანების წყალობით" ირჩენს თავს, "მოსიარულე" მათხოვარია. საქმე ის არის, რომ საქართველოში ამ კატეგორიის ადამიანთა დაყოფა თამამად შეიძლება ორ ჯგუფად: ერთს თავისი კუთვნილი, გარანტირებული, პოლიციასთან და ტერიტორიის მფლობელთან (ვთქვათ, სუპერმარკეტის დირექტორთან) შეთანხმებული ადგილი აქვს, მეორეს ურჩევნია ქუჩა-ქუჩა მოძრაობით მოიპოვოს პური თვისი არსობისა. საინტერესოა, რომ "მჯდომარე" მათხოვრების დიდი ნაწილი მცირეწლოვანი ან ახალგაზრდაა. "მოძრავი" მათხოვრები, ძირითადად, კისერზე დაფაჩამოკიდებული ინვალიდი-პენსიონერი მამაკაცები და შავებით მოსილი ჭაღარა ქალბატონები არიან.

ყოფილ მებუფეტის, მარგო ბებოს ყოველდღიური მარშრუტი გეგმიურად არის შედგენილი და საკმაოდ სერიოზულ ტერიტორიას მოიცავს: სადგურის მოსაცდელებიდან "დინამოს" სტადიონამდე. მისი ახლანდელი პროფესიისათვის ამინდის კაპრიზებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს - წვიმიან და ძალზე ცხელ დღეებში შედარებით ნაკლები შემოსავალი და არტერიული წნევის მატების მეტი რისკია.

გაგრძელება A4 გვერდზე

## გერმანია საარჩევნო ციებ-ცხელებაში

### ვინ არის ედმუნდ შტოიბერი

დავით აფრასიძე

22 სექტემბერს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არჩევნები გაიმართება. 1998 წლიდან ქვეყნის ფედერალურ მთავრობას სოციალისტებისა და მწვანეების კოალიცია – ე.წ "წითელ-მწვანე კოალიცია" უდგას სათავეში. მაშინ მათ ქრისტიან-დემოკრატი ჰელმუტ კოლის 16-წლიან მმართველობას დაუსვეს წერტილი. ახლანდელი კანცლერი, გერჰარდ შრედერი წარმატებით იყენებს მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებებს, რის გამოც მას მედია-კანცლერიც კი შეარქვეს. მიუხედავად ამისა, გერმანიაში ბოლო დროს გაზრდილმა უმუშევრობამ სოციალისტებისა და მწვანეების ხელახალი არჩევა კითხვის ქვეშ დააყენა. 1998 წელს, გამარჯვებით აღტაცებულმა შრედერმა პირობა დადო, რომ თუ 2002 წელს უმუშევართა რიცხვი 3,5 მილიონს გადააჭარბებდა, მაშინ მისი მთავრობა ხელახალი არჩევის ღირსი აღარ იქნებოდა. ოფიციალური მონაცემებით, გერმანიაში უმუშევართა რიცხვმა უკვე 4 მილიონს გადააჭარბა.

გაგრძელება A5 გვერდზე



ედმუნდ შტოიბერი

REUTERS

## ო`ნილი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ვიზიტით კმაყოფილია

### საქართველომ, შესაძლოა, ამერიკისგან სერიოზული დახმარება მიიღოს

*აშშ-ს ფინანსთა მინისტრი, პოლ ო`ნილი, რომელმაც ახლახან დაასრულა თავისი მოგზაურობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (უკრაინა, ყირგიზეთი, უზბეკეთი და საქართველო), ვიზიტით კმაყოფილია. იგი მიიჩნევს, რომ ეს საკმაოდ დატვირთული მოგზაურობა ნაყოფიერი იყო ამ ქვეყნებში ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისთვის, რაც, შეიძლება, წინ აღუდგეს ახალ ტერორისტულ შეტევებს. "როიტერის" მიერ მომზადებულ მისი ვიზიტის მიმოხილვაში საერთოდ არაფერია ნათქვამი საქართველოსთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ ო`ნილმა მართლაც მოინახულა ეს ქვეყანა.*

ოფიციალური ინფორმაციით, ამერიკელი მაღალჩინოსნის მხოლოდ ამ ოთხ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ჩასვლა იმით იყო განპირობებული, რომ მათ საბაზრო ეკონომიკის გზაზე ყველაზე მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ. თუმცა, ამერიკელების მიერ ამ ოთხი ქვეყნის გამორჩევის მთავარი კრიტერიუმი, ალბათ, მათი ანტიტერორისტულ კამპანიაში აქტიურად ჩართვა იყო.

თავის უკანასკნელ ვიზიტს ო`ნილი განიხილავს, როგორც შესაძლებლობას იმ ღონისძიებათა თანმიმდევრული მომზადებისთვის, რომლებიც ბუშის ადმინისტრაციის სპეციალური ფონდიდან - Millennium Challenge Accounts-იდან ამ ქვეყნებისთვის გრანტების გამოყოფის კრიტერიუმებად გამოიყენება. ამასთან, უნდა არსებობდეს გარანტიები, რომ ეს ფული მიმართული იქნება რეალური სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

გაგრძელება A3 გვერდზე

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მოუწოდებს შეიარაღებული ძალების ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამას, რომელიც ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების მიერ 2000-კაციანი ანტიტერორისტული ქართული სამხედრო ბატალიონის მომზადებას ითვალისწინებს.

ნინო ბურჯანაძემ ეს განცხადება კოჯრის სასწავლო ცენტრსა და "კომანდოს" ბატალიონში, პარასკევს, სახმელეთო ჯარების სარდლის მოვალეობის ყოფილი შემსრულებლის, ნიკა ჯანჯღავას ხელმძღვანელობით, 102 ოფიცრის პროტესტის ფაქტის კომენტირებისას გააკეთა.

ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაზეა დამოკიდებული საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის პროცესი."

ამასთან, სპიკერი არ ფიქრობს, რომ არმიაში 6, ან ერთი წლის წინ უკეთესი ვითარება იყო, ვიდრე დღეს, "ამიტომაც მეტი დელიკატურობა და მოთმინებაა საჭირო ქართულ შეიარაღებულ ძალებში".

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, ბევრს ფიქრობს შეიარაღებული ძალების პრობლემებზე, რომელთა მიმართ "განსაკუთრებული" ყურადღებაა საჭირო. *(პრაიმ-ნიუსი)*

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით, ქვეყანაში 23 ივლისი "პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღედ" გამოცხადდა.

როგორც პრეზიდენტის პრეს-სამსახურში აცხადებენ, შევარდნაძის ბრძანებაში ნათქვამია, რომ "1999 წლის 23 ივლისს, ორბიტალურ სადგურ "მირზე" პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ღია კოსმოსურ სივრცეში წარმატებული გამოცდა და დამოუკიდებელ ორბიტაზე გადასვლა საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობის მოვლენად იქცა და საერთაშორისო არენაზე აღიარებულ იქნა მსოფლიო კოსმონავტიკის ახალი პრიორიტეტული მიმართულების დასაწყისად". *(პრაიმ-ნიუსი)*

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, თამაზ ნადარეიშვილი აცხადებს, რომ ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები ნიუ-იორკში დაგეგმილ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ახლო მომავალში დარეგულირებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სასწრაფო ზომების მიღების საკითხს დასვამენ.

ნადარეიშვილი აცხადებს, რომ დელეგაცია, რომელსაც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ლონდერ ცაავა ხელმძღვანელობს, აშშ-ში გუშინ დილით გაემგზავრა და 31 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას.

მისი თქმით, დელეგაციის წევრები წინასწარ შეხვედრებს გამართავენ ამ ორგანიზაციისა და გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებთან.

მან აღნიშნა, რომ დელეგაციის წევრები გაეროს უშიშროების საბჭოზე სიტყვით გამოვლენ, ასევე წარადგენენ დოკუმენტს, სადაც აფხაზეთის პრობლემის სწრაფად გადაჭრის მოთხოვნაა დაფიქსირებული. დოკუმენტს საქართველოს მილიონზე მეტი მოქალაქე აწერს ხელს.

ამასთან, "დელეგაცია წარადგენს მასალებს, რომელიც აფხაზეთში საომარი მოქმედებისას ქართული მოსახლეობის გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას ადასტურებს, აგრეთვე უშიშროების საბჭოს მიაწვდის ბოლო წლებში შეგროვილ ფაქტებს, ამ რეგიონში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ", - თქვა თამაზ ნადარეიშვილმა.

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება განსაკუთრებულ შედეგს არ ელის. თუმცა, თამაზ ნადარეიშვილი იმედოვნებს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები გაითვალისწინებენ ამ განცხადებებს და ქართულ-აფხაზური პრობლემა ახლო მომავალში მოგვარდება. ამ პროცესის გაჭიანურების შემთხვევაში, მისი თქმით, ქართული მხარე გაეროს წესდების მეშვიდე მუხლის ამოქმედებას მოითხოვს, რომელიც "მშვიდობისათვის იძულებას" გულისხმობს.

აფხაზეთის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ, საქართველოს პრეზიდენტისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვაზე, სადაც აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებისათვის გადაუდებელი ქმედითი ღონისძიებების გატარების მოთხოვნაა დაფიქსირებული, 1 200 000-ზე მეტი ხელმოწერა შეაგროვა. *(პრაიმ-ნიუსი)*

■ ■ ■

**ქობულეთი.** აჭარის ავტონომიის მეთაურს, ასლან აბაშიძეს გუშინ 64 წელი შეუსრულდა. დაბადების დღეს იგი ოჯახურ გარემოში აღნიშნავს.

როგორც პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, როსტომ ჯაფარიძემ განაცხადა, აჭარის ხელისუფალს საერთოდ არ უყვარს საკუთარი დაბადების დღის გრანდიოზულად აღნიშვნა.

ამასთან, მისი თქმით, სასურველი იქნებოდა, რომ პარლამენტის ბიუროს წევრებს, რომლებიც ამჟამად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბიუროს გამსვლელ სხდომებს ატარებენ, აბაშიძისათვის დაბადების დღე პირადად მიელოცათ.

პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ შაბათს, ქობულეთში ბიუროს სხდომა ასლან აბაშიძისათვის დაბადების დღის მილოცვით დაიწყო.

ასლან აბაშიძეს, რომელიც ასევე პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელია კონფლიქტების დარეგულირების საკითხში, უაღრესად საპასუხისმგებლო მისია აკისრია, - აღნიშნა სპიკერმა.

პარლამენტის თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ აბაშიძე ამ მისიას წარმატებით გაართმევს თავს. *(პრაიმ-ნიუსი)*




გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარულავილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, საშა შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოთელ მსახიობებს აღარავისი და აღარაფრის აღარ სჯერათ

თამარ ხორბალაძე

ფოთის თეატრის ოთხმოცი მოშიმშილე მსახიობი გუშინ პირველად გახდა უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთან შეხვედრის ღირსი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე ბიუროს სხდომის შუალედში, ფოთში გაემგზავრა და მოშიმშილეებს შეხვდა.

სიტუაცია პარლამენტის სპიკერს მართლაც უკიდურესად დაძაბული დაუხვდა. საკმაოდ ძნელი გახლდათ შეხვედრა ადამიანებთან, რომლებსაც შიმშილობის მეთორმეტე დღესაც არავითარი პასუხი არ მიუღიათ ხელისუფლებისაგან, თავიანთ, უკვე ხუთწლიან, პრობლემაზე, რომელმაც ბოლო ექვსი თვის განმავლობაში განსაკუთრებით მძიმე ხასიათი მიიღო.

ამ ადამიანებს უკვე, მათივე განცხადებით, აღარ სჯერათ ფოთის მერის, რომელიც ამბობს, რომ თეატრის ფონდს შექმნიან და შემდეგ უკვე ამ ფონდში შემოსული ფულით ააშენებენ ახალ თეატრს. ახალ შენობაში დღევანდელ მსახიობებს, შეიძლება, მუშაობა უკვე აღარც მოუწიოთ. ფოთის მერი, მსახიობების აზრით, ამგვარი განცხადებით, ფაქტობრივად, თეატრის შენობიდან მათ გამოსახლებას უწყობს ხელს.

ამ ადამიანებს არ სჯერათ არც კულტურის მინისტრის, რომელიც რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას საკუთარ თავზე ვერ იღებს. მათ არ სჯერათ არც პრეზიდენტის, რომელიც ისე გაემგზავრა იალტაში, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარი კონკრეტული განცხადება თუ გადაწყვეტილება არ მიუღია. ფოთის თეატრის მსახიობებს ძალიან აკვირვებთ საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის პოზიცია, რომელიც, ფაქტობრივად, ჩაურევლობას ამჯობინებს და ამ თემაზე თავის კონკრეტულ პოზიციას ასევე არ აფიქსირებს.

შეგახსენებთ, რომ საკითხი ეხება ფოთის თეატრის კოლექტივსა და მამა გრიგოლ ბერბიჭაშვილს და მის მრევლს შორის ატეხილ დავას, რომლის საგანი თეატრის შენობა გახლავთ, რომელიც, მამა გრიგოლ ბერბიჭაშვილის თქმით, თავიდან შენდებოდა, როგორც ეკლესია. საინტერესოა, რომ ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრაზე მოშიმშილე მსახიობებმა პარლამენტის თავმჯდომარეს გადასცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა მამა გრიგოლის ოთხჯერადი ნასამართლეობის შესახებ. ამ ცნობის მიხედვით, იგი შემდეგი მუხლებითაა გასამართლებული: თაღლითობა კვალიფიციური სახით (ორჯერ), ყალბი ბეჭდისა და სხვა საბუთების დამზადება და ქურდობა. ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ნინო ბურჯანაძე შეპირდა მსახიობებს, რომ იგი უშუალოდ დაელაპარაკება პრეზიდენტს და აუხსნის იმ სიტუაციას, რომელიც მან ფოთში რეალურად ნახა. ბურჯანაძე მოშიმშილეებს პირდება, რომ დაელაპარაკება ილია მეორესაც და შეეცდება, მისგანაც მიიღოს კონკრეტული პასუხი. ბურჯანაძემ მსახიობებს შიმშილობის შეეწყვიტა თხოვა, მაგრამ ამგვარ შედეგს მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია: ხანში შესულმა მსახიობებმა და ქალებმა შიმშილობა შეწყვიტეს. მათი თქმით, შიმშილობის შეწყვეტა დროებითია, სანამ ნინო ბურჯანაძისგან კონკრეტულ პასუხს მიიღებენ. ფოთის თეატრის თანამშრომლები კულტურის მინისტრის ჩასვლას ელოდებიან, თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, რომ მისგან რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების მოლოდინი, ამ შემთხვევაში, არ არსებობს.

## „სამართლიან არჩევნებს„ ავიწროვებენ

პირველი გვერდიდან

სხვათა შორის, "სამართლიანი არჩევნების" წევრები მონაწილეობას იღებენ საარჩევნო დარღვევების მიზეზების შემსწავლელი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობაში. კომისია, სხვა საქმეებთან ერთად, სწორედ ქუთაისში გამართული ადგილობრივი არჩევნების შედეგების კანონიერებას სწავლობს. 2 ივნისს "სამართლიანმა არჩევნებმა" სრულად მოიცვა ქუთაისის საარჩევნო უბნები და ყველგან დამკვირვებლებად საკუთარი წარმომადგენლები მიავლინა. შემსაბამისად, მათ ქუთაისის არჩევნების სრული სურათი ჰქონდათ.

არ არის გამორიცხული, პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას ზუგდიდში გამართული განმეორებითი არჩევნების შედეგების კანონიერების შესწავლაც მოუწიოს. როგორც მერობის კანდიდატები აცხადებენ, კენჭისყრის ბოლო საათებში საკმოდ ბევრი დარღვევა დაფიქსირდა. მთავარი კი ის არის, რომ (კვლავ კანდიდატების მტკიცებით) არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია ამომრჩეველთა ერთ მესამედს და საოლქო კომისიის მიერ გამოცხადებული რიცხვი აშკარად გაბერილი იყო (სხვათა შორის, ზუგდიდში ყოფნისას "24 საათს" საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები თავად უცხადებდნენ, რომ დღის 5-6 საათისთვის ამომრჩეველთა მაქსიმუმ 20 პროცენტი იყო მისული).

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ზუგდიდის არჩევნების მონიტორინგი, წესით, თბილისიდან ჩასულ მხოლოდ ერთ ორგანიზაციას – "სამართლიან არჩევნებს" უნდა ეწარმოებინა, მაშინ სავსებით ლოგიკურია ორგანიზაციის წევრების ვარაუდი, რომლის თანახმად, მათი დაყაჩაღება სწორედ იმიტომ მოხდა, რომ მათ მონიტორინგი ვეღარ განეხორციელებინათ.

**"სამართლიანი არჩევნები" პროტესტს გამოთქვამს მის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების გამო, ქვეყანაში შექმნილ არამართვად პროცესებსა და კრიმინალზე პასუხიმგებლობას მთლიანად აკისრებს ხელისუფლებას და კატეგორიულად მოითხოვს, უმოკლეს ვადებში პოლიციამ გამოიძიოს ჩვენს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებები",** - აცხადებენ ორგანიზაციის წევრები.

## დასიცხული ბიურო ინტერფრაქციულ ჯგუფებს ქმნის

პირველი გვერდიდან

გუშინ მისთვის ხელის წაშველება გადაწყვიტა და მრეწველების პროექტს გადაურბინა. თუმცა, მაინც ვერ გადაწყვიტა, პარლამენტში შეექმნა ამ და მსგავსი პროექტების განსახილველად ინტერფრაქციული ჯგუფი თუ პარლამენტის მიღმა ეზრუნა კომისიის შექმნაზე. ამასობაში, დღევანდელი კონსტიტუციის ავტორებს ნოსტალგია მოეძალათ და იმაზე დაიწყეს საუბარი, რომ, საერთოდაც, სჯობს, ამჟამინდელი მოდელი გავაუმჯობესოთ და არა ახალი შევქმნათო. საბოლოოდ, ალბათ, ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი "კარგი ჯანსაღი" ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნაზე პარლამენტარები ბიუროს დასასრულისთვის შეთანხმდებიან.

ბიურომ გუშინ საარჩევნო კანონის ცვლილებებსაც "მიჰხედა". გუშინ გამოჩნდა, რომ პარლამენტარებს არჩევნებამდე ამომრჩევლის გადათვლასთან დაკავშირებით სხვადასხვა იდეები აწუხებთ.

ზოგიერთი, მაგალითად, თვლის, რომ ამომრჩეველი პარტიების წარმომადგენლებისგან შემდგარმა ჯგუფებმა უნდა გადათვალონ და კარდაკარაც სწორედ ამ ჯგუფებმა იარონ. თავად საარჩევნო კომისიებში კი პარტიებს ცხვირი არ უნდა შეაყოფინონ. საბოლოოდ, ამასთან დაკავშირებითაც, სავარაუდოდ, ინტერფრაქციული ჯგუფი შეიქმნება. ამგვარი ჯგუფი მანამდეც არსებობდა და, შესაძლოა, მის განახლებაზე იფიქრონ.

შაბათის სხდომაზე პარლამენტართა რიცხოვნობის შემცირებაზეც იმსჯელეს. ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ერთნი თვლიან, რომ რაც მეტია დეპუტატი, მით უფრო ძნელია მათი ყიდვა, შესაბამისად, მით უკეთესი ხარისხის გადაწყვეტილებებს იღებენ პარლამენტარები. მეორენი თვლიან, რომ რაც უფრო ნაკლებია ხალხის რჩეულთა რიცხვი, უფრო ადვილია თითოეულის საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის გაწევა და პარლამენტიც, შესაბამისად, უფრო ხარისხიან გადაწყვეტილებებს იღებს.

ქობულეთური ბიუროს სხდომაზე პარლამენტარებს სხვა მეტისმეტად მნიშვნელოვანი საკითხებიც აქვთ განსახილველი. მაგალითად, გუბერნატორების ინსტიტუტის გაუქმების იდეაც აქვთ შესათანხმებელი. თუმცა, "შეთანხმებას" ამ შემთხვევაშიც მეტად ოპტიმისტური პერსპექტივა აქვს. შესაძლოა, აქაც ინტერფრაქციული ჯგუფი შეიქმნას. გარდა ამისა, ბიუროს დღის წესრიგში საგადასახადო ცვლილებებიცაა შეტანილი. ტრადიციისამებრ, გადასახადის კორექტირების ცვლილების გარეშე მთავრობა ვერ ძლებს და პარლამენტში ყოველთვიურად ახალ-ახალი ინიციატივა შეაქვს ხოლმე, რაზეც გუშინ მინიშნება ნინო ბურჯანაძემაც გააკეთა. ერთი ამთავითვე შეიძლება ითქვას, ამ საკითხს, ალბათ, ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნა აღარ დასჭირდება.

ეკონომიკა

# ო`ნილი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ვიზიტით კმაყოფილია

### საქართველომ, შესაძლოა, ამერიკისგან სერიოზული დახმარება მიიღოს

პირველი გვერდიდან

Millennium Challenge Accounts-ი შეიქმნა იმ მიზნით, რომ მისი მეშვეობით წლიურად დამატებითი ხუთი მილიარდი დოლარი განაწილდეს (დახმარების სახით), ხოლო ამ დახმარების მიღების პრეტენდენტმა ქვეყნებმა უნდა დააკმაყოფილონ გარკვეული კრიტერიუმები, რომლების ჯერაც განსასაზღვრია.

ო`ნილის თქმით, მისი ვიზიტები იმ ქვეყნებს, რომლებიც თავიანთი ეკონომიკის გასავითარებლად და სამუშაო ადგილების შესაქმნელად რეფორმებს ახორციელებენ, იდეებსა და დახმარებას სთავაზობს, რათა აღიკვეთოს ტერორიზმის ახალი შეტევები, რომლებსაც ფართოდ გავრცელებულმა სიღარიბემ შეიძლება დაუდოს სათავე.

დსთ-ს ოთხ ქვეყანაში უკანასკნელი ვიზიტისას, ო`ნილმა რამდენიმე მცირე და დიდი საწარმო მოინახულა, რითაც ხაზი გაუსვა თავის მთავარ პრინციპს, რომ კერძო სექტორის განვითარება ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი იქნება, რომლითაც აშშ დახმარების გამოყოფისას იხელმძღვანელებს. ო`ნილის თქმით, აშშ ფინანსური დახმარების გამოყოფისას, თითოეული რეგიონის სპეციფიკური საჭიროების გათვალისწინებას აპირებს.



ო`ნილი და შევარდნაძე

REUTERS

## სასტუმრო „მოსკოვს„ ანგრევენ

"გაზეტა.რუს" ცნობით, გადაწყვეტილება სასტუმრო "მოსკოვის" დანგრევის შესახებ უკვე მიღებულია. ეს მოხდება 2003 წელს, როდესაც ძველი "მოსკოვის" ადგილას ახალი აშენდება. ამ მიზნით, მოსკოვის მერიამ და ცნობილმა რუსმა მეწარმემ, "მოსკოვის სანავთობო კომპანიის" ხელმძღვანელმა, შალვა ჩიგირინსკიმ უკვე ჩამოაყალიბეს ერთობლივი კომპანია. ამჟამად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოების დასაწყებად საჭირო ფინანსების მოძიება. შალვა ჩიგირინსკი დარწმუნებულია, რომ ასეთი პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია, როგორც რუსი, ასევე დასავლელი ინვესტორების დაინტერესება. პროექტის საერთო ღირებულება 300-400 მილიონი დოლარია.

"გაზეტა.რუ" ასევე იუწყება, რომ შალვა ჩიგირინსკიმ პროექტზე კონტროლის უფლება კონკურსის გარეშე მოიპოვა. იმავე წყაროს ცნობით, ბოლო წლების განმავლობაში "მოსკოვის" რეკონსტრუქციისათვის ორი ტენდერი მოეწყო. 1996 წლის ტენდერის შედეგი მოსკოვის მერიამ გააუქმა. მეორე ტენდერი კი ამერიკულმა კომპანიამ Decorum Corp–მა მოიგო. ბოლო გადაწყვეტილების შედეგად კი, ამერიკელები რიგითი ინვესტორები იქნებიან და პროექტში 120 მილიონ დოლარს დააბანდებენ.

მშენებლობისთვის საჭირო თანხის მესამედი მიწისქვეშა პარკინგის მოწყობისთვის დაიხარჯება, რომელიც 800 ავტომანქანაზე იქნება გათვლილი. 1930 წელს აშენებული შენობა კი მთლიანად დაინგრევა. პარკინგის გარდა, მოეწყობა რამდენიმე მიწისქვეშა გადასასვლელი, რომელიც მოსკოვის მეტროსაც დაუკავშირდება.

პროექტის ავტორთა ინფორმაციით, ახალ სასტუმროში ორჯერ ნაკლები ნომერი იქნება. გამოთავისუფლებულ ფართზე განთავსდება ოფისები და სავაჭრო ცენტრი. ამასთან, როგორც არქიტექტორები, ასევე მოსკოვის მერი პირობას დებენ, რომ შენარჩუნდება "მოსკოვის" ამჟამინდელი ფასადი. დღესდღეობით პროექტის ხელმძღვანელები ათასგვარი ნებართვის აღებით არიან დაკავებულნი. ვითარებას ართულებს ის გარემოება, რომ სასტუმრო "მოსკოვი" კრემლთან საკმაოდ ახლოს მდებარეობს, ამდენად, უშიშროების სპეცსამსახურების ნებართვაცაა აუცილებელი.

## საფრანგეთში მასობრივი პრივატიზაცია იწყება

საფრანგეთის ეკონომიკის სამინისტრომ პარიზის ბანკებს გაუგზავნა ცირკულარი, რომლითაც მათ შესთავაზეს მსხვილი საწარმოების სახელმწიფოს ხელში არსებული აქციების პაკეტის შეძენა. დოკუმენტის კონფიდენციალურობის მიუხედავად, ცნობილი გახდა, რომ მთავრობა ყიდის წილს ისეთ კომპანიებში, როგორებიცაა: გაზისა და ელექტროენერგიის კონცერნი EDF-GDF-ი, მსხვილი საჰაერო გადამზიდავი Air France, საავიაციო ძრავების დამამზადებელი Snecma, ელექტრონული ჰოლდინგი Bull-ი. სულ საუბარია 15 კომპანიის აქციების გაყიდვაზე.

თვალსაზრისი

# სისტემა აბსურდულია, ხელისუფლება კი - ლეგიტიმური

პირველი გვერდიდან

**"რეალური პრობლემა ის გახლავთ, რომ მრავალი ადამიანი ცხოვრობს თავისუფლების ილუზიით. მათ მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებამ დეკრეტით უნდა დააწესოს თავისუფლება, ნაცვლად იმისა, რომ თავად შექმნან თავისუფალი ცხოვრების პირობები."**

*ჯ. სვიფტი.*

გია სიამაშვილი

წინა დისკუსიაში - "პოსტშევარდნაძისტული ეპოქა" - ერთ-ერთი მონაწილე შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ, შესაძლოა, შევარდნაძე წავიდეს, მის მიერ ჩამოყალიბებული სისტემა კი დარჩეს. ვფიქრობ, ამგვარი არასახარბიელო პერსპექტივა დღეს უფრო რეალურია, ვიდრე ეს დისკუსიის დასაწყისში იყო, რის საფუძველსაც "განახლებულ მოქალაქეთა" საბრძოლო შემართება იძლევა. ყრილობაზე გაკეთებული განცხადებებიდან აშკარად ჩანდა, რომ პარტია არამცთუ არ აპირებს პოლიტიკური ავანსცენიდან ჩამოსვლას, არამედ იგი ვერც კი ხედავს რაიმე სერიოზულ კონკურენტუნარიან ძალას პოლიტიკაში. რა არის ამის მიზეზი? მოგეხსენებათ, რომ საბჭოთა სისტემა არსებობდა არა მხოლოდ მექანიკურად, რეპრესიულ აპარატზე დაყრდნობით, არამედ საყოველთაო კეთილდღეობის დაპირების ხარჯზეც. "სოციალისტური რელიგიის" საყრდენს წარმოადგენდა ღარიბთა და ღატაკთა ფენა. ჯერ კიდევ 1908 წელს, კითხვაზე, თუ რატომ არ არსებობს საქართველოში "ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია", გაზეთი "შრომა" პასუხობდა: "იმიტომ, რომ ჩვენში არ არსებობს ან, თუ არსებობს, მეტად სუსტია ისეთი ელემენტები, რომლებსაც შეეძლოთ თავი მოეყარათ ამ დროშის ქვეშ... ჩვენი საზოგადოების უმეტესი ნაწილი ღატაკია, ღარიბი, დღიური ლუკმის მაძიებელი. ასეთი ელემენტებისაგან შედგენილი პარტია ვერ გამოდგება საკუთრებისა და მასზე აგებული ბურჟუაზიული წყობილების დამცველად". რამდენად შეიცვალა დღევანდელი ქართული საზოგადოების დამოკიდებულება "ბურჟუაზიული წყობის" მიმართ? თუ ბურჟუაზიის აგენტებად ქვეყნის გაპარტახების ხარჯზე გამდიდრებულ ადამიანებს მივიჩნევთ, საზოგადოების მათდამი დამოკიდებულება გაცილებით უფრო ნეგატიურია, ვიდრე ეს გასული საუკუნის დასაწყისში იყო.

მიუხედავად ამისა, ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე უვარგისი სისტემა, ლეგიტიმურია მანამ, ვიდრე მის პირობებში მცხოვრებ საზოგადოებას წარმოდგენა არ გააჩნია ალტერნატივაზე. ოპოზიციის მიერ დეკლარირებული ღირებულებები თითქმის არაფრით განსხვავდება ხელისუფალთა საპროგრამო განცხადებებისაგან. ვფიქრობ, საბჭოთა ხელისუფლებისადმი დაპირისპირება გამოწვეული იყო არა სისტემის არასამართლებრივი შინაარსით, არამედ მისი "უცხოური" წარმოშობით.

ერთ-ერთი ლექციის დროს ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი აღნიშნავდა, რომ "ბიუროკრატია "ჰაერით ვაჭრობს" და ამით ირჩენს თავს. მაგრამ ვიცით კი, რითი უნდა შევავსოთ ის სიურეალისტური სივრცე, რომელიც დღეს ბიუროკრატიას უკავია?" ვფიქრობ, ეს კითხვა დღესაც აქტუალურად ჟღერს. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ხომ კვლავ არარსებული ბიუჯეტის იმედად ცხოვრობს და კვლავ "ჰაერით მოვაჭრეებისაგან" ელის შველას, რადგან საკუთარი თავის დამოუკიდებლად რჩენას იდეალურ საბაზრო პირობებშიც კი ვერ შეძლებს. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ "განახლებულ მოქკავშირელთა" ყრილობაზე კვლავ გაიჟღერა სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარების მოწოდებამ. პარტიამ იცის, ვინ წარმოადგენს მის ძირითად რეზერვს.

მიუხედავად ამისა, ყოფილ მმართველთა კრახმა ხარისხობრივად ახალი პოლიტიკური ოპოზიციის ჩამოყალიბება გამოიწვია. მას, ალბათ, კიდევ ხშირად შეახსენებენ წარმომავლობას, მაგრამ ყოფილ თანაპარტიელებთან პოლემიკაში - გავიხსენოთ თუნდაც მამალაძესთან დაპირისპირების ისტორია - აშკარად ჩანს მათი მორალური და იდეოლოგიური უპირატესობა. მაგრამ რამდენად შეძლებს ჟვანია-სააკაშვილის ტანდემი საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას? ცნობილია, რომ ადგილობრივი არჩევნების დროს მოსახლეობა ხშირად ოპოზიციას ანიჭებს უპირატესობას, რითიც იგი ხელისუფლებას უცხადებს უნდობლობას. ვფიქრობ, ამით აიხსნება ლეიბორისტების წარმატება. მაგრამ საპარლამენტო არჩევნებს მოსახლეობა განსაკუთრებული კრიტიკულობით უდგება. აქ მნიშვნელობა ენიჭება არა იმას, ვინ უფრო მეტ ცოდვაში ამხელს ხელისუფლებას, არამედ იმას, ვის მეტი გამარჯვების ძალა და ქვეყნის გაძღოლის უნარი შესწევს.

ზოგიერთი პოლიტოლოგის შეფასებით, თუ შევარდნაძე ადგილობრივ არჩევნებში დამარცხდა იმით, რომ სერიოზული მხარდამჭერი ძალა გამოეცალა, მეორეს მხრივ, იგი გამარჯვებულია მისი ალტერნატიული ძალის არარსებობით. ამიტომაც შევარდნაძე და "განახლებული მოქალაქეები" ყველა საშუალებას გამოიყენებენ, რათა გაიმარჯვონ საპარლამენტო არჩევნებში. ეს, თავის მხრივ, საშუალებას მისცემს პრეზიდენტს, დატოვოს მისთვის სასურველი მემკვიდრე და კიდევ ათი წელი მაინც უზრუნველყოს ანემიური რეჟიმის შენარჩუნება.

ლიბერალთა ბანაკის სისუსტეზე წინა დისკუსიაში მინიშნება გააკეთა გიგი თევზაძემ: "ქვეყანაში სუსტია ის, რაც საბჭოთა პერიოდის შემდეგ გამოვიდა: სამოქალაქო საზოგადოება, სასამართლო ხელისუფლება და ა.შ. რაც ძლიერია, ის არის ძველი". ამის მიზეზი, ალბათ, ისიც გახლავთ, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ავტორიტარულ მმართველობას ანიჭებს უპირატესობას. ვფიქრობ, ნოსტალგია დავით აღმაშენებლის ეპოქაზე გამოწვეულია არა ამ დიდი პიროვნების განსწავლულობით ან, ვთქვათ, რელიგიური შემწყნარებლობით, არამედ მტკიცე ხელით და ძლიერი მმართველობით.

მომავლის უკეთ პროგნოზირებაში განვლილი ათი წლის ანალიზიც დაგვეხმარება. რა მოხდა ამ ათი წლის განმავლობაში? პოლიტიკური ელიტა მნიშვნელოვნად განახლდა, მაგრამ თითქმის უცვლელი დარჩა მმართველი ფენა. იგი, ძირითადად, საბჭოთა ნომენკლატურით არის წარმოდგენილი. ახალმა პოლიტიკურმა ერთობამ, როგორც მმართველი სტრუქტურის ნაწილმა, ვერ მოახერხა ძალაუფლების ხელში აღება და მმართველი აპარატიც თითქმის უცვლელი დარჩა. პროფესიონალი და პატიოსანი კადრების მოხვედრა მმართველ ელიტაში შეუძლებელია, რადგან ამისათვის, სულ ცოტა, სამართლიანი არჩევნებია საჭირო (ჩვენთან ამგვარი დასახელების ორგანიზაცია არსებობს, მაგრამ მის მუშაობას ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ მოუტანია). ალბათ დამეთანხმებით, რომ ჯანსაღი კონკურენცია, არსებული ხელისუფლების პირობებში, შეუძლებელია. ჩვენში დამკვიდრდა კაპიტალიზმის "აზიური მოდელი", რომელიც ნათესაურ-კლანურ პრინციპებზეა აგებული. პირადი კავშირები ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის საშუალებად არის ქცეული. შევარდნაძის იდეოლოგიურ სამსახურში მყოფი პირები - მათ შორის, ჩემი მრავალი ახლობელიც - გვიმტკიცებენ, რომ ეს ყოველივე სრულიად ბუნებრივია ახლად შობილი ქვეყნისათვის, რომელსაც სულ რაღაც ათი წელი აშორებს იმ ავად სახსენებელი წარსულისაგან. ქვეყნის თუნდაც უმნიშვნელო განვითარების პირობებში, ეს არგუმენტი, შესაძლოა, მისაღები ყოფილიყო, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში იგი, ფაქტობრივად, სტაგნაციის დაკონსერვებას ნიშნავს. ნუთუ ახლა კიდევ ათი-თხუთმეტი წელიწადი "განახლებულ მოქკავშირელთა" "რეფორმებს" უნდა ველოდოთ? "თუ არ დაელოდებით, დემოკრატია უკან დაგრჩებათ", - გვაფრთხილებენ შევარდნაძის ბანაკიდან, რადგან ამ შემთხვევაში პოლიტიკური დაპირისპირება ღია ბრძოლაში გადაიზრდება, რისი მოწმენიც უკვე ვიყავით...

მშვიდობიანი გარდაქმნები შესაძლებელია მხოლოდ "საზოგადოებრივი კოალიციის" პირობებში - რაც გულისხმობს აქტიურ თანამშრომლობას პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის. ამის ნიშნები პერიოდულად ჩნდება, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ რაღაც არაორდინალურ მოვლენებთან დაკავშირებით, როგორიც ბოლო დროს იყო "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევა და ტერაქტებში ბრალდებულების შეწყალება.

შევარდნაძის ეპოქის დასასრულს, ვფიქრობ, ბევრი მისი ამჟამინდელი მომხრეც სულმოუთქმელად ელის, მაგრამ, სამწუხაროდ, პრეზიდენტის ძირითადმა ოპონენტებმა ვერ მოახერხეს პოლიტიკურად აქტიური ნაწილის სრული მხარდაჭერის მოპოვება, რაც "მოქკავშირელებს" მომავალი გამარჯვების იმედს უსახავს.

დამაიმედებელია ის, რომ ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ახალი ქართული საზოგადოების ჩამოყალიბება, გაჩნდნენ სახელმწიფოსგან ეკონომიკურად დამოუკიდებელი ადამიანები, რომლებიც ხელს უწყობენ ახალი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. მართალია, მათ ისევ დემოკრატიულ ბიუროკრატიასთან უწევთ ურთიერთობა, მაგრამ ეს ხალხი აღარ მიეკუთვნება "მორჩილ უმრავლესობას". ისინი, შესაძლოა, სერიოზულ საყრდენად იქცნენ მომავალი პოლიტიკური რეფორმების პროცესში.

სამართალი

## „ბოევიკი„ საგარეჯოს კოლონიაში

ინგა ალავიძე

გუშინ, გამთენიისას საგარეჯოს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში პატიმრებსა და ბადრაგს შორის მომხდარი შეტაკება პატიმრის სიკვდილით დასრულდა.

საგარეჯოს კოლონიის 4 შეიარაღებული პატიმარი გუშინ, დილის 5 საათზე, თავს დაესხა კოლონიის ბადრაგს.

თემურ ბერიძე, მამუკა გავაშელიშვილი, ზვიად კოკაია და ვიტალი შიოლაშვილი მძიმე ბრალდებებისთვის ქსნისა და რუსთავის კოლონიებში იხდიდნენ სასჯელს და მას შემდეგ, რაც მათი კრიმინალური ბიოგრაფია საპატიმროში ჩადენილი დანაშაულით კიდევ უფრო დამძიმდა, ციხის ადმინისტრაციამ ტუსაღები მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაიყვანა.

გუშინ საგარეჯოს კოლონიაში მომხდარი ინციდენტის მიზეზი ხსენებულ პატიმართა მიერ მოწყობილი გაქცევის მცდელობა გახდა. გუშაგმა საგუშაგოს სიახლოვეს მდებარე კედელთან – პერიმეტრის ტერიტორიაზე მოგროვილი პატიმრები შეამჩნია, რომლებიც კედელზე გადასვლას ცდილობდნენ და სიტყვიერად გააფრთხილა ისინი, რასაც ტუსაღთა მხრიდან გასროლა მოჰყვა. გუშაგთა მიერ საპასუხო სროლისას თემურ ბერიძე, ზვიად კოკაია და ვიტალი შიოლაშვილი მძიმედ დაიჭრნენ.

დაჭრილ პატიმრებს პირველადი დახმარება საგარეჯოს საავადმყოფოში აღმოუჩინეს, რის შემდეგაც თემურ ბერიძე და ზვიად კოკაია თბილისში, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ვიტალი შიოლაშვილი, რომელიც გაქცევის ორგანიზატორადაა მიჩნეული, მიყენებული სასიკვდილო ჭრილობებით საგარეჯოს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

კოლონიაში გამართული "ბოევიკისას" პატიმარმა მამუკა გავაშელიშვილმა გაქცევა მაინც მოახერხა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ოთხივე ტუსაღს ადრეც რამდენჯერმე ჰქონია გაქცევის მცდელობა. ერთ-ერთი მცდელობისას ვიტალი შიოლაშვილმა რუსთავის კოლონიაში გათხრილი 23-მეტრიანი გვირაბიდან მოახერხა კიდეც გაქცევა. თუმცა, იგი დაიჭირეს და საგარეჯოს კოლონიაში გაამწესეს.

საგარეჯოს კოლონიიდან გუშინ დილით გაქცეულ ტუსაღს გაძლიერებული სპეცნაწილი ეძებს.

## სეზონური პრობლემები მათხოვრობის ბიზნესში

პირველი გვერდიდან

მარგო ბებოს მკაცრი კონკურენციის პირობებში უწევს მუშაობა, მაგრამ მისი თქმით, ამ მხრივ საქმე გაცილებით ცუდად ხუთი წლის წინათ ჰქონდა. როგორც თავად ასკვნის, ასაკის მატებასთან ერთად გულჩვილი ადამიანების რიცხვიც გაიზარდა. იგი დარწმუნებულია, რომ მეტ სიბრალულს იწვევს, ვიდრე "ზუნტლიანი" პატარა გოგო-ბიჭები თავიანთ მეთვალყურესთან ერთად. მათხოვრობის სფეროში მეთვალყურის ფენომენი ცალკე გამოსაყოფი თემაა, მარგო ბებო კი ბედნიერია იმით, რომ საკუთარი ჯანმრთელობის ფასად მოპოვებული გროშების გაყოფა არავისთან უწევს. ისევ და ისევ შთამბეჭდავი ასაკისა და სალებავგადაცვეთილი ყავარჯნის გამო, პოლიცია მის შემოქმედებით საქმიანობაში არ ერევა. "შემოქმედებითში" იმიტომ, რომ ყველა მათხოვარი ასაკისა და სქესის მიუხედავად, ცოტათი მაინც არტისტიზმით უნდა იყოს დაჯილდოვებული. ამის გარეშე ერთ "თეთრსაც" ვერ მოიპოვებ.

**"კეთილო ხალხო, დამეხმარეთ უპატრონო მოხუცს, ღმერთმა ბარაქა და დოვლათი მოგცეთ",** - ასეთი შაბლონური თხოვნით ძნელია ობივატელის მიძინებული გრძნობების გაღვიძება. საჭიროა გქონდეს ისტორია, რომელიც ნებისმიერს სულს აუფორიაქებს. მარგო ბებოს ისტორია ნაკლებად საინტერესოა (ქმარი ახალგაზრდობაში გარდაეცვალა, შვილმა ვალები "აიკიდა" და



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ქალაქიდან უმისამართოდ გაუჩინარდა), მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ ამით პური, ბოსტნეული, ხანდახან კვერცხი და სანთლები იყიდოს. მარგო ბებოს დღიური შემოსავალი 2-7 ლარია. თანხის ნაწილს იგი შავი დღისათვის ინახავს. ეს დღეები ზამთრობით აქვს, როცა სახსრების ტკივილი ეწყება და ქუჩაში სიარული გაუსაძლისი ხდება. მისი მთავარი კონკურენტები ისეთივე მოხუცები არიან, როგორიც თვითონაა.

ჩვენს მიერ ჩატარებული მცირემასშტაბური გამოკითხვის შედეგად მკვეთრად გამოჩნდა, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილი თავის შემოსავალს მათხოვრებს იშვიათად თუ უწილადებს. გამოიკვეთა, რომ ასაკოვანი ქალები მეტად შედიან "მარტოხელა" დედების და ხანდაზმულების მდგომარეობაში, ვიდრე მამაკაცები. ისინი მეტწილად ბავშვებს ეხმარებიან, თუმცა, ცდილობენ, შეძლებისდაგვარად სხვის პრობლემებზე თვალიც დახუჭონ. ახალგაზრდები კი მუდმივი ფინანსური კრიზისის გამო, მათხოვრობის სფეროზე ნაკლებად ფიქრობენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს სერიოზული ბიზნესია.

ასეა თუ ისე, ზაფხული რომ ცუდი სეზონია, ამას ნებისმიერი სტაჟიანი მათხოვარი დაგიდასტურებთ. თანაც, ორმოცგრადუსიან სიცხეში აუტანელია არა მხოლოდ მოძრაობა, არამედ ერთ ადგილზე – ცხელ კედელთან ან გახურებულ ასფალტზე ჯდომა, მაგრამ რას იზამ, ვინც არ შრომობს, ის არ ჭამს. ჭამა კი ყველას უნდა.

## გახმაურებულ მკვლელობაში ეჭვმიტანილი სოფიაში დააკავეს

ინგა ალავიძე

ბულგარელმა კანონდამცველებმა ქალაქ სოფიაში დააკავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საერთაშორისო ძებნილად გამოცხადებული გიორგი ჯანაშვილი. ყაჩაღობასა და განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილ ჯანაშვილს კანონდამცველები, მესამე წელია, ეძებენ. სოფიაში გიორგი ჯანაშვილი არჩილ არსენიშვილის სახელზე გაცემული ყალბი პასპორტით ცხოვრობდა.

ჯანაშვილი ეჭვმიტანილია 1999 წლის 8 ნოემბერს თბილისში, ნუცუბიძის მე-2 პლატოზე მომხდარ ძალიან გახმაურებულ დანაშაულში - მამა-შვილის ამირან და მიხეილ არეშიძეების მკვლელობაში. არეშიძეების სახლში ყაჩაღობის მიზნით შესულმა გოჩა ხეცურიანმა, გიორგი ლაბაძემ და გიორგი ჯანაშვილმა თავდაპირველად დაჭრეს მამა - ამირან არეშიძე, რომელმაც ყაჩაღებს კარი გაუღო. ხმაურზე მისაღებ ოთახში გამოსულმა მიხეილ არეშიძემ თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც, იგი ადგილზევე მოკლეს. ამირან არეშიძემ საპასუხო სროლით დაჭრა გოჩა ხეცურიანი და გიორგი ლაბაძე. მოგვიანებით, კანონდამცველებმა შემთხვევის ადგილის სიახლოვეს, ჯიხურთან, ხეცურიანის გვამი, ცოტა მოშორებით კი, ლაბაძის გვამი აღმოაჩინეს. მოკლული გოჩა ხეცურიანი და გიორგი ლაბაძე ნიღბებით იყვნენ. მაშინვე გავრცელდა ვერსია, რომ მძიმედ დაჭრილები მათთან ერთად მყოფმა მესამე თავდამსხმელმა მოკლა, კვალის დაფარვის მიზნით, გვამები იქვე დაყარა და თავად გაიქცა. თუმცა, საქმეში არსებობს თვითმხილველთა ჩვენებები, რომლებიც აცხადებენ, რომ დაინახეს, როგორ მიათრევდა ჯანაშვილი დაჭრილ მეგობრებს და მას შემდეგ, რაც დაიღუპნენ, გვამები მიატოვა.

ამირან არეშიძე ბორჯომის ჩამომსხმელ ქარხანაში პასუხისმგებელ თანამდებობაზე მუშაობდა. არეშიძეების ოჯახზე თავდასხმა ქარხანის ირგვლივ ატეხილ კონფლიქტურ სიტუაციას დაემთხვა. გავრცელებული ვერსიით, ამირან არეშიძის მკვლელობა ქარხნის ძირითადი მფლობელის, მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ კონკურენტების მიერ გაჩაღებულ ომად მოინათლა. თუმცა, უკვე შემდეგ თითქმის დადასტურდა, რომ არეშიძეებზე თავდასხმა ყაჩაღობის მიზნით მოხდა.

გიორგი ჯანაშვილი სამწლიანი ძებნის შემდეგ, საქართველოს შსს-ს მიერ მიწოდებული ინფორმაციების საფუძველზე, ბულგარელმა სამართალდამცველებმა დააკავეს. გუშინ გვიან ღამით უკვე დადასტურდა, რომ დაკავებული არჩილ არსენიშვილი გიორგი ჯანაშვილია. ვაკე-საბურთალოს პოლიციის მიერ ჯანაშვილის შესახებ შეგროვებული "ძებნის მასალები" შსს-მ უკვე გადაუგზავნა სოფიელ კოლეგებს. მამა-შვილ არეშიძეების მკვლელობასა და ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი გიორგი ჯანაშვილის საქართველოში ექსტრადიცია რამდენიმე დღეში მოხდება.

## ალბიონზე განათლება ძვირი სიამოვნებაა

დალი კუპრავა

დღეს ბევრი ქართველი ახალგაზრდა უცხოეთში სწავლობს, კიდევ უფრო მეტს უნდა გამგზავრება. განსაკუთრებით მატულობს დიდ ბრიტანეთში სწავლის მსურველთა რაოდენობა. როგორც ამბობენ, ბრიტანული განათლება ისევე რესპექტაბელურია, როგორც ბრიტანული შალის ნაწარმი, ან იუმორი.

ოთხმოციან წლებში ბრიტანეთის მთავრობამ უმაღლეს სასწავლებლებს სტრატეგიული ამოცანა დაუსახა - მოემზადებინათ ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურები გამოიყენებდნენ. შედეგად დამუშავდა ბიზნესის რეალური მოთხოვნილების შესაბამისი მექანიზმები, მათ შორის სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის რომელიმე კომპანიაში სავალდებულო პრაქტიკა. 1991 წლის აპრილიდან ამოქმედდა პილოტი პროგრამა Youth Credits, რომელიც ახალგაზრდა სპეციალისტების მაღალი პროფესიონალიზმისკენ არის მიმართული. ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დაძლიონ რთული ტექნიკური და ტექნოლოგიური ამოცანები. მათი მუშაობა ამა თუ იმ ფირმის კონკურენტუნარიანობაზე სერიოზულ გავლენას ახდენს. ძალიან პოპულარულია ე.წ. "მეცნიერების პარკები", Science Parks,- ეს არის მაღალ ტექნოლოგიებთან და კომერციულ პრაქტიკასთან დაკავშირებული ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული მეცნიერების ზემოქმედების მოდელი. მოდელის მიხედვით, კომპანიები ერთადაა თავმოყრილი და ერთობლივ კვლევასა და ტექნოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებენ. მაგ. კემბრიჯის სამეცნიერო პარკი (Cambridge Science Park), რომელსაც 53 ჰექტარზეა განლაგებული, 74 კომპანიას აერთიანებს. დიდ ბრიტანეთში უკვე ორმოცამდე პარკია, რომლებიც ახალგაზრდობის განათლებისთვის ძალზე ეფექტურად გამოიყენება.

1980 წელს ბრიტანეთში უმაღლესი განათლების მსურველები 15 პროცენტი იყო, 1990 წლისთვის – 20 პროცენტი, 2000 წელს - 30 პროცენტს მიაღწია. დღეს ბრიტანეთის უმაღლესებში მოსწავლეთა რაოდენობა მილიონ 700 ათასია. ასპირანტების რაოდენობა 60 პროცენტით გაიზარდა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან პრესტიჟული ბრიტანული განათლების მისაღებად. ამჟამად, ბრიტანეთში 100 ათასზე მეტი უცხოელი სწავლობს.

სწავლის გადასახადი წელიწადში 5 000 დან 17 000 ფუნტ სტერლინგამდეა, ზოგჯერ, მეტიც. "ჯიბის ფულად" სტუდენტებს 6 000-8 000 ფუნტი სტერლინგი სჭირდებათ: ბინისთვის, კვებისთვის, ტრანსპორტისთვის, წიგნებისთვის, ტანსაცმლისთვის, ელექტროენერგიის გადასახადისა და დროს გასატარებლად. 90 პროცენტზე მეტი ბრიტანელი სტუდენტი 1 800 ფუნტ სტერლინგ სტიპენდიას იღებს. მოსწავლეებისთვის მოქმედებს დაბალპროცენტიანი საკრედიტო სისტემაც. თუმცა, უცხოელი სტუდენტები ამ შეღავათებით იშვიათად სარგებლობენ.

დიდ ბრიტანეთში უმაღლესი განათლება ორეტაპიანია. პირველ ეტაპი 3-4 წელი გრძელდება. ყველას, ვინც პირველ ეტაპს გაივლის, ეძლევა Bachelor s Degree – ბაკალავრის ხარისხი. შემდეგია Master s Degree - მაგისტრის ხარისხი, რომელიც ბაკალავრისას მოსდევს და სწავლა 1-2 წელი გრძელდება. ყოველწლიურად 44 ათასი ახალგაზრდა იღებს ამ ხარისხს და ამათგან 17 ათასი უცხოელია. და ბოლოს, Doctor of Philosophy - ფილოსოფიის დოქტორი, ბრიტანეთის განათლების სისტემაში უმაღლესი ხარისხია. ეს ხარისხი აგვირგვინებს პროფესორის ხელმძღვანელობასთან ჩატარებულ კვლევით სამუშაოებს, მაგრამ ფილოსოფიის მეცნიერებასთან კავშირს არ ნიშნავს.

ამრიგად, განათლება დიდ ბრიტანეთში კარგია, მაგრამ ჩავთვალოთ, რომ ჩვენთვის - არაპრაქტიკული. რამდენმა ქართველმა სტუდენტმა შეიძლება ალბიონზე ისწავლოს, თუ მხოლოდ ბაკალავრის ხარისხის მიღება სულ ცოტა 44 000 ფუნტი სტერლინგი დაჯდება?!

ფოსტა

### ჩვენი პოზიცია

"ადამიანის უძვირფასესი საუნჯე მისი ვინაობაა. ნურავის ნუ უკვირს, თუ ამ ვინაობის შემგინებელს, შემბღალველს ყოველი პატიოსანი კაცი მართალი გულისწყრომით ზედაეგება".

დიდი ილიას ამ სიტყვებით გვინდა გამოვხატოთ ჩვენი ოჯახის გულისტკივილი და განწყობა, დიმიტრი ჯაშის შთამომავლებმა, "რუსთავი 2"-ის არხზე 14 ივლისს გასულ გადაცემასთან დაკავშირებით "ილია ჭავჭავაძის მკვლელობა".

უდავოა, მაყურებელმა იხილა დინამიური, გამომსახველობით საინტერესო გადაცემა საუკუნის მკვლელობის შესახებ, თუმცა, ჩვენდა გასაოცრად, გადაცემის ავტორებმა დიმიტრი ჯაში ისევ საბჭოთა პერიოდში შექმნილი სტერეოტიპით წარმოგვიდგინეს.

ყველა მეცნიერს, მწერალს, პიროვნებას აქვს უფლება, საკუთარი ვერსია, ინტერპრეტაცია მიაწოდოს პუბლიკას, მაგრამ საფუძველი მხოლოდ ჭეშმარიტება უნდა იყოს.

60 წელზე მეტია, რაც საზოგადოებაში მუსირებს მოსაზრება დიმიტრი ჯაშის მკვლელობაში მონაწილეობის სხვადასხვა ვერსიების შესახებ, თუმცა, არც ერთი ვერსია არ დამტკიცებულა.

1907 წლის ზაფხულის დასაწყისში 23 წლის დიმიტრი ჯაშს ილია ჭავჭავაძემ ანდო მისი მამულების მართვა. თუმცა, ეს თანამდებობა არცთუ ისე უხიფათო იყო. ილიას მკვლელობამ მთლიანად შეცვალა დიმიტრი ჯაშის შემდგომი ცხოვრება.

მკვლელების გასამართლება ღია პროცესით მიმდინარეობდა. სასამართლოს მონაცემებით, ჩვენებებით, მოწმეთა დაკითხვის შემდეგ, დიმიტრი ჯაშის მიმართ მაშინ არავითარი ბრალდება არ იქნა წამოყენებული. 1905-1935 წლებში, როდესაც დიდ ილიაზე იფრქვეოდა კრიტიკის ქარცეცხლი, არც ავად, არც კარგად არავის მოსვლია აზრად, მოეხსენებინა დიმიტრი ჯაშის სახელი. სამაგიეროდ, 1941 წელს, საგანგებოდ მოწყობილ სასამართლო პროცესზე, დიმიტრი ჯაში მკვლელობის ორგანიზატორად მოევლინა საზოგადოებას.

ასე სჭირდებოდა იმ დროს!

არადა, დიმიტრი ჯაშის დამადანაშაულებელი კონკრეტული დამამტკიცებელი საბუთები, რითაც თუნდაც სავარაუდო გახდებოდა მისი მონაწილეობა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზაციაში, ვერც მეფის მთავრობამ, ვერც მენშევიკურმა მთავრობამ, ვერც ბერბიჭაშვილის ჩვენებამ ვერ წარმოაჩინა. ამიტომაც ამოქმედდა სიყალბისა და ცილისწამების სისტემის მანქანა.

მრავალი მეცნიერი და ლიტერატურის მოღვაწე ერთმანეთს ეჯიბრებოდა იმაში, თუ ვინ უკეთ მიუსადაგებდა და წაუყენებდა ცრუ ბრალდებებს დიმიტრი ჯაშს.

ასე შეიქმნა და გამოიკვეთა დამნაშავის სტერეოტიპი - ავანტიურისტი, ჯაშუში, მკვლელი და ეს გრძელდებოდა მრავალი წელს.

დიმიტრი ჯაშის შვილები იძულებული იყვნენ, გასცლოდნენ ამ ვითარებას. უფროსი ვაჟი გაემგზავრა მოსკოვს და საქართველოში აღარ დაბრუნებულა. უმცროსს განგებამ საქართველოში დარჩენა არგუნა. გადავიდა ბათუმში. ძნელი იყო მკვლელის შვილის თუნდაც ცრუ იარლიყით ცხოვრება. იწერებოდა საჩივრები, იგზავნებოდა ყველა ინსტანციაში, 1946 წელს კი სსრკ პროკურატურიდან მისი უდანაშაულობის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი მიიღეს. მაგრამ მითები მის პიროვნებაზე მაინც ითხზვებოდა. თუმცა, იყვნენ ადამიანები, რომლებიც აღიარებდნენ მის უდანაშაულობას და როდესაც შესაძლებელი გახდა, კიდეც დაბეჭდეს ამის შესახებ. მათ დიმიტრი ჯაში სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოადგინეს (ა. ბაქრაძე, გ. შარაძე, შ. ბადრიძე, ა. შუშანაშვილი, შ. მარკოზაშვილი).

დიმიტრი ჯაშის მეუღლის - დარიას მემუარები მალე დაიბეჭდება, რომელიც ამ მოვლენებს თვითმხილველის თვალით წარმოაჩენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ დიმიტრი ჯაში ამ გადაცემაში დაკნინებული სახით იქნა წარმოჩენილი. თუმცა, რა არის ჯაშის ასეთი ჩვენება, როდესაც მთელი 95 წლის განმავლობაში დიდი ილიას, საქართველოსათვის წამებული რაინდის შესახებ მსჯელობაც კი შიგადაშიგ გარკვეულ კონიუქტურულ ხასიათს ატარებდა.

**P.S.** ჩვენი შეხვედრა გადაცემის ავტორთან, თომა ჩაგელიშვილთან შედგა. მისი დამსახურებაა ამ წერილის დაბეჭდვა, რაც იმედს გვიტოვებს, რომ სიმართლე ოდესმე მაინც გაიმარჯვებს.

*დიმიტრი ჯაშის შთამომავლები*

## ჯაშუშების მუზეუმი

მარიკა მელქაძე

ვაშინგტონში ჯაშუშების საერთაშორისო მუზეუმი გაიხსნა. მუზეუმში 1000 ექსპონატია წარმოდგენილი. გალერეას ექსპონირებული ნივთების შეგროვებაში პროფესიონალი მზვერავები დაეხმარნენ. ქველმოქმედთა შორისაა კდბ-ში ნამსახურევი ოლეგ კალუგინი და FBI-სა და ცსს-ს ყოფილი ხელმძღვანელი, უილიამ უებსტერი. მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელთა ამპლუაში პენსიონერი ჯაშუშები გვევლინებიან.

აქ მეტად საინტერესო ექსპონატებია წარმოდგენილი: ქალის პომადაში ჩამაგრებული ერთჯერადი მოხმარების შაშხანა, ღილში ჩამონტაჟებული ფოტოაპარატები, მოსასმენი მოწყობილობები (რითაც ცსს-ს ჯაშუშები მტრის რადიო-საუბრებს ისმენდნენ), ინგლისელი ჯარისკაცების საზაფხულო ჩექმები (ინგლისელი მფრინავი ჯაშუშები მეორე მსოფლიო ომის დროს, მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადასვლისას, ამ ჩექმებს უბრალო ფეხსაცმელის სახეს აძლევდნენ და მტრის ზანაკში შედიოდნენ).

აქვე გვხვდება გერმანული საათი, რომელშიც მინიატურული ფოტოაპარატი და ვიდეო კამერაა ჩამონტაჟებული. აღმოსავლეთ გერმანიის უშიშროების სამსახური - "შტაზი" ამ მოწყობილობას მიზნობრივად იყენებდა. მზვერავები გერმანიის სასტუმროების კედლებზე გაკეთებული სპეციალური ხვრელებიდან საინტერესო პირთა ფოტოებს იღებდნენ.

მუზეუმში დგას ჯეიმს ბონდის ავტომობილის - Aston Martin DB5-ის ასლი.

შესასვლელში კი კდბ-ს დამაარსებლის, ფელიქს ძერჟინსკის ქანდაკებაა აღმართული.

გალერეის დამთვალიერებელს მოულოდნელი ფინალი ელის. ექსკურსია-მძღოლები სტუმრებს ჯაშუშთა ბიოგრაფიებისა და პატარ-პატარა ისტორიების მოყოლას აიძულებენ. შემდეგ საგანმანათლებლო ფუნქციებს კისრულობენ და ექსკურსანტებს დაზვერვის საიდუმლოებებსაც ასწავლიან. განსაკუთრებით ცნობისმოყვარე სტუმრებს საიდუმლო შიფრების გაშიფრვის უფლებაც ეძლევათ.

მუზეუმის დირექტორი, კეტლინ კოუკლი ამბობს, რომ ჯაშუშობანას თამაში საკუთარი თავის გამოცდის საუკეთესო საშუალებაა. დამთვალიერებელს ეძლევა შანსი, გაარკვიოს, აქვს თუ არა ჯაშუშობის უნარი.

## მოსამართლეს ჩაეძინა

ბრიტანელ მოსამართლეს სასამართლო პროცეზე ორჯერ ჩაეძინა. პირველი ჩათვლემისას იგი გააღვიძეს, მეორე ჩაძინებამ კი სასამართლო პროცესის შეწყვეტა გამოიწვია. გლოჩესტერის სასამართლოში, სადაც 21 წლის ახალგაზრდის სისხლის სამართლის საქმე იხილებოდა, მოსამართლის ჩაძინების გამო პროცესის შეწყვეტისა და გადატანის ხარჯმა 55 290 დოლარი შეადგინა.



# საქართველო სუ(უ)ამ-ის საჭესთან - გადარჩება თუ არა ალიანსი?

პირველი გვერდიდან

ასე რომ, დარჩა მხოლოდ ერთი გამაერთიანებელი ფაქტორი – შეერთებული შტატების პოლიტიკური მხარდაჭერა. ეს მხარდაჭერა, ჯერჯერობით, იმისთვისაც კი არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ალიანსის მთლიანობა უზრუნველეყო. გასულ თვეში უზბეკეთმა გაერთიანების რიგები საკმაოდ მოულოდნელად დატოვა. ამერიკის ზეწოლის მიუხედავად, ალიანსიდან გასულმა უზბეკეთის ხელმძღვანელობამ მხოლოდ ბუნდოვანი განცხადებები გააკეთა უკან დაბრუნების და თანამშრომლობის განახლების თაობაზე.

რა შეიძლება შეცვალოს იალტის სამიტმა?

ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბრის სამიტის დროს, ალიანსის წევრებმა "სუუამ-ის ქარტია" მიიღეს და გადაწყვიტეს მთავარი აქცენტი თანამშრომლობის არა პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ პროექტებზე გადაეტანათ. განსაკუთრებულ აქტიურობას უკრაინა იჩენდა. მან პარტნიორებს თავისუფალი სავაჭრო ზონის იდეა შესთავაზა, რომელმაც სწორედ გუშინ მოიპოვა საბოლოო აღიარება, მას შემდეგ, რაც სუამ-ის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი



იალტის სამიტი

მოაწერეს ამგვარი ზონის შექმნის შესახებ ხელშეკრულებას. მართალია, თავისუფალი სავაჭრო ზონა წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ საეჭვოა, რომ გალატაკებულ და კორუფციაში ჩაძირულ ქვეყნებს შორის ტარიფების გაუქმებამ რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სუამ-ის ქვეყნების ეკონომიკების ზრდაზე.

რამდენად დაეხმარება სუამ-ს ამერიკის მხარდაჭერა?

რუსული "ნეზავისიმაია გაზეტა" ამერიკის ფინანსთა მინისტრის, ო`ნილის ამასწინანდელ ვიზიტს, უკრაინაში, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში, სუამ-ის შესაძლო გააქტიურებას უკავშირებს, მაგრამ საეჭვოა, რომ ამ ორ მოვლენას შორის პირდაპირი კავშირი არსებობდეს.

სარწმუნო წყაროების ცნობით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში შეერთებული შტატების ოფიციალური პირები საკმაოდ სერიოზულ ზეწოლას ახორციელებდნენ უზბეკეთის მთავრობაზე, რათა ტაშკენტს თავისი გადაწყვეტილება შეეცვალა და სუამ-ის წიაღში დაბრუნებულიყო, თუმცა, ჩანს, ამაოდ.

უფრო საყურადღებოა შეერთებული შტატების ემისრის, ბილ ტეილორის ვიზიტი იალტაში და მისი შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტ შევარდნაძესთან. ტეილორმა შევარდნაძეს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის პირველი მოადგილის, არმიტიჯის წერილი გადასცა, რომელიც სუამ-ის თაობაზე არმიტიჯის მოსაზრებებს შეიცავს. თავად ბილ ტეილორმა კი განაცხადა, რომ მზადაა, ხელი შეუწყოს სუამ-ის ფარგლებში კონკრეტული პროექტების განხორციელებას.

ამერიკელების აქტიურობა შეიძლება იმას მოწმობდეს, რომ ისინი სერიოზულად არიან დაინტერესებულნი სუამ-ის შენარჩუნებით და მომავალში მისთვის გარკვეული როლი აქვთ შემონახული. ამ თვალსაზრისით, ქართულ დიპლომატიას სერიოზული მისია აკისრია, რაც, პირველ რიგში, უზბეკეთის სუამ-ში დაბრუნებისთვის ძალისხმევას გულისხმობს. უზბეკეთის მონაწილეობის გარეშე აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნების მნიშვნელობა საკმაოდ შემცირდება.

გარდა ამისა, სუამ-ს შეიძლება ახალი სუნთქვა შთაბეროს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიამ, რომელიც მთელი ევრაზიის სივრცეზე მიმდინარეობს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გუშინ ხელმოწერილი შეთანხმება სუამ-ის ფარგლებში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციასთან დაკავშირებით. მას თან ერთვის ლიდერების მიერ ხელმოწერილი დეკლარაცია, რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთო ძალისხმევის შესახებ. გარდა ამისა, სუამ-ის ინსტიტუციური გაძლიერების მცდელობად უნდა ჩაითვალოს, გაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შექმნა.

იალტის სამიტზე ყველაზე საინტერესო მაინც ბულგარეთისა და რუმინეთის შესაძლო გაწევრიანების შესახებ ცნობა იყო, რომელიც პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ გაახმაურა. სამიტის მუშაობაში, დაახლოებით, 10 ქვეყნის და კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი მონაწილეობდა, რაც ფორუმის ავტორიტეტულობაზე მეტყველებს.

თუმცა, სუამ-ი მართლა გაფართოვდება, თუ საბოლოოდ დაიშლება, მომავალი გვიჩვენებს.

# გერმანია საარჩევნო ციებ-ცხელებაში: ვინ არის ედმუნდ შტოიბერი

პირველი გვერდიდან

## ედმუნდ შტოიბერი - პროვინციელი პოლიტიკოსი

გერჰარდ შრედერის მეტოქე, ედმუნდ შტოიბერი 1941 წელს ობერაუდორფში, ბავარიის მხარეში დაიბადა. ბავარიელობა, როგორც ამბობენ, ფედერალური გერმანიიის პოლიტიკურ არენაზე მისი მთავარი მინუსია. საქმე ისაა, რომ ბავარიელები ერთგვარი კუთხური ნაციონალისტები არიან და საკუთარ მხარეს გერმანიისაგან მკვეთრად საზღვრავენ. მათი ყოფა-ცხოვრება, ბუნება და ხასიათი მართლაც განსხვავებულია, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ გერმანიისაგან. ბავარიიდან გერმანიის სხვა მხარეში მიმავალი ხშირად გაიგონებთ: თქვენ ახლა გერმანიაში მიდიხართო. ბავარიული დიალექტი არა მხოლოდ უცხოელისათვის, არამედ ხშირად გერმანელებისთვისაც ძნელი გასაგებია. ედმუნდ შტოიბერის მთვარი მინუსი, როგორც ამბობენ, მისი ძლიერი ბავარიული აქცენტია. იგი სალიტერატურო გერმანულს, ცხადია, სრულყოფილად ფლობს – ბოლოს და ბოლოს, პროფესიონალი იურისტია და თანაც დოქტორის ხარისხით. თუმცა, ბავარიულად ისე უქცევს, რომ მსმენელს ხშირად ელიმება.

შტოიბერის მთავარი სისტუსტე, თანაც, შრედერთან პაექრობის დროს, მასმედიასთან ურთიერთობებია. ამას წინათ მან თავად აღიარა, რომ მისი გამოსვლები ზედმეტად რთული წინადადებებისაგან შედგება, რაც მაყურებლისათვის ძნელი აღსაქმელია. საიდუმლო არაა, რომ პოლიტიკოსისათვის, განსაკუთრებით საარჩევნო ეტაპზე, პოპულიზმი აუცილებელი ატრიბუტია. მედიაპოპულიზმის მთავარი არსი კი მოკლე, მოსახლეობისათვის ადვილად გასაგებ წინადადებებში მდგომარეობს. ასეთი წინადადებები, ანუ მოკლე მიმართვები, ადვილად დასამახსოვრებელია და შეიძლება მყარ გამონათქვამებადაც იქცეს. შტოიბერის სუსტი მხარე მისი გუნდისთვის კარგადაა ცნობილი. კანცლერობის კანდიდატის მედიამენეჯერი ყველა შეხვედრას, საჯარო გამოსვლასა თუ ინტერვიუს სახელდახელოდ დირიჟორობს. მიუხედავად ამისა, შტოიბერი ხანდახან თავს მაინც ვერ თოკავს. ერთ-ერთ ცნობილ სატელევიზიო წამყვანს იგი, დაბნეულობის გამო, მთელი საღამო საკუთარი პოლიტიკური თანამებრძოლის, ქრისტიან-დემოკრატების თავმჯდომარე ქალის, ანგელა მერკელის სახელით მიმართავდა.

## ბავარიის არწივი

ფაქტია, რომ მედიის ველზე შტოიბერი ვარსკვლავ შრედერს ვერაფერს დააკლებს. იგი სხვადასხვა თემების შინაარსობრივ მხარეზე ყურადღების გამახვილებით აპირებს ფონს გასვლას. შტოიბერი, შრედერის მსგავსად, ძლიერი ქარიზმატული პოლიტიკოსია. ქარიზმატული ლიდერები, როგორც წესი, სუსტი პოლიტიკური კულტურის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ არც ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოები განიცდიან მათ ნაკლებობას. შრედერის გარდა, ამ სიაში შეიძლება სხვა ევროპელი ლიდერებიც - საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ



შრედერი და შტოიბერი

REUTERS

შირაკი და ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი დავასახელოთ. ამ, ე.წ. უმაღლესი ლიგისგან განსხვავებით, შტოიბერი დღემდე მხოლოდ პროვინციული ბავარიის ფარგლებში ნავარდობდა. მისი პოლიტიკური კარიერა 70-იან წლებში დაიწყო. უნდა აღინიშნოს, რომ ბავარია არა მხოლოდ კულტურულ-სოციალურ ანკლავს ქმნის გერმანიაში, ეს მხარე პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების კუთხითაც იმსახურებს ყურადღებას. ბავარიაში არ არსებობს გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის რეგიონული ორგანიზაცია. სამაგიეროდ, მას ცვლის დობილი პარტია - ქრისტიანულ-სოციალური კავშირი. გერმანიის პარლამენტში - ბუნდესტაგში, ისინი ერთიან ფრაქციას ქმნიან – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ანუ რაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა დაარსდა - ბავარიას შეუცვლელად მართავს ქრისტიანულ-სოციალური კავშირი, თანაც ყოველთვის აბსოლუტური უმრავლესობით. 1998 წელს მათ ხმების 52 პროცენტი მიიღეს. ცალკეულ თემებში კი "ადგილობრივი კომუნისტები" - ასე ეძახიან ხუმრობით მმართველ პარტიას - მართლაც საბჭოურ მაჩვენებლებს – 90 პროცენტსა და მეტს აღწევენ. ასეთ დროს, ქართველი მკითხველი, ალბათ, საქართველოს ერთ-ერთ კუთხესთან გაავლებს პარალელს. თუმცა, მათ გასაწბილებლად უნდა ითქვას, რომ ბავარიაში არჩევნები არ ყალბდება. ქრისტიან-სოცაილური კავშირის წარმატების საიდუმლო კი იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობის უმეტესობა საკმაოდ კონსერვატულია და კათოლიციზმის დიდ გავლენას განიცდის. ამდენად, პროტესტანტულ წრეებთან ახლოს მდგომი სოციალისტები და, მით უფრო, პოსტმოდერნისტული იდეების მქონე მწვანეები აქ პოპულარობით ვერ სარგებლობენ. გარდა ამისა, ქრისტიანულ-სოციალურმა პარტიამ შეძლო საკუთარი თავის ბავარიასთან გაიგივება. ის, რომ ეს პარტია მხოლოდ ამ მხარეში არსებობს, ბავარიელებს საკუთარი განსაკუთრებულობის კიდევ ერთხელ გამოხატვის საშუალებას აძლევს.

ასეთ დახურულ სივრცეში ჩამოყალიბდა შტოიბერის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის სახე. მის პოლიტიკურ აღმავლობაზე დიდი გავლენა იქონია 70-80-იანი წლების ბავარიის, ასევე ქარიზმატულმა, ლიდერმა - ფრანც იოზეფ შტრაუსმა. შტრაუსი ბავარიის ეკონომიკურ ამაღორძინებლად და უგვირგვინო ხელმწიფედ ითვლებოდა. წლების განმავლობაში იგი გერმანიის ფედერალური მინისტრიც იყო. შტოიბერი შტრაუსის ერთ-ერთი აღზრდილია და პოლიტიკოსი-ლომის თვისებებიც უთუოდ მისგან ისწავლა. შტრაუსის ხანა, ეკონომიკური წარმატებების გარდა, საფინანსო მაქინაციებითაცაა ცნობილი. ისევე, როგორც ქრისტიან-დემოკრატებსა და კოლს, ბავარიის პარტიასაც ედავებიან უკანონო ფულს. მიუხედავად ამისა, შტოიბერმა დღემდე გაუსვრელად შეძლო სკანდალების გადალახვა. შტოიბერი, მიზნის მისაღწევად, არასრდოს იხევს უკან და, როგორც ამბობენ, არც მეგობრებისა და თანაპარტიელების ჩაძირვაზე უთქვამს უარი. 1982 წელს შტოიბერი, შტრაუსის ფრთებქვეშ, ბავარიის კანცელარიის უფროსი გახდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, 1988 წელს - შინაგან საქმეთა მინისტრი. 1993 წლიდან შტოიბერი ბავარიის მთავრობის ხელმძღვანელია. 2002 წელს ქრისტიან-დემოკრატებმა და ქრისტიან-სოციალისტებმა იგი ფედერალური კანცლერის პოსტზე კანდიდატად დაასახელეს. ეს მეორე შემთხვევაა, როცა მემარჯვენეების კანდიდატი ქრისტიან-სოციალური პარტიიდანაა. პირველად, 1980 წელს ზემოთ ხსენებულმა შტრაუსმა მწარე მარცხი იწვნია, როცა მემარჯვენეებმა მხოლოდ ხმების 34 პროცენტი მოაგროვეს.

## მე მხარის უკეთესი ხელმძღვანელი ვარ, ვიდრე შრედერი იყო და, ასევე, უკეთესი კანცლერი ვიქნები

მთავარი, რითაც შტოიბერი ამაყობს, ბავარიის მაღალი ეკონომიკური და დაბალი კრიმინოგენული მაჩვენებლებია. ბავარიაში უმუშევართა რიცხვი შედარებით მცირეა და ეკონომიკური ზრდის ტემპები საშუალო გერმანულზე მაღალია. შტოიბერის მომხრეები ამას ბავარიის მთავრობის მოქნილ პოლიტიკას უკავშირებენ. მოწინააღმდეგეები კი ამბობენ, რომ 60-70-იან წლებში ბავარიამ, მხარეებს შორის ეკონომიკური გაწონასწორების პოლიტიკის ფარგლებში, ცენტრიდან ბევრი ტრანსფერი მიიღო, რამაც მისი ეკონომიკის განვითარებას შეუწყო ხელი. ამას გარდა, ბავარიის დედაქალაქი - მიუნჰენი გერმანიის თანამედროვე ტექნოლოგიების ცენტრად ითვლება. ბავარიაშია განლაგებული მანქანათმშენებლობის წამყვანი ობიექტებიც.

შტოიბერი უმუშევრობის პრობლემის მოგვარებას მთელ გერმანიას ჰპირდება. იგი ამბობს, რომ ამისათვის ეკონომიკის ტემპების გაზრდა და შესაბამისი საინვესტიციო გარემოს შექმნაა საჭირო. შტოიბერის აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ გერმანიას, ევროპის ფარგლებში, ეკონომიკური ზრდის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს. 2001 წელს გერმანიის მთლიანი შიდა პროდუქტი მხოლოდ 0,9 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიკური ზრდის მიღწევას იგი, უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო პოლიტიკაში ცვლილებების გზით აპირებს, სადაც საშუალო და წვრილ მეწარმეობას მეტი შეღავათები უნდა მიეცეს. ასევე დროებით უნდა შეჩერდეს ყბადაღებული ეკოგადასახადის შემდგომი ეტაპების ამოქმედება. შტოიბერის მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ მისი დაპირებები არარეალისტურია. გერმანიის ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელებას კი საყოველთაო კრიზისს უკავშირებენ და უახლოეს ხანებში ახალ აღმავლობას მოელიან.

შტოიბერის გუნდი არ ემხრობა იმიგრაციის ახალ კანონმდებლობას, რომელიც ბუნდესტაგმა წელს მიიღო. მათი აზრით, ამ კანონმდებლობით კიდევ უფრო მეტი უცხოელი შემოვა ქვეყანაში. მთავარი პრობლემა, შტოიბერის აზრით, იმიგრანტების გერმანულ საზოგადოებაში ინტეგრაციის დაბალი დონეა. ბევრი უცხოელი წლობით ცხოვრობს გერმანიაში, მაგრამ გერმანულ ენას მაინც ვერ დაუფლებია. ამიტომ, მათი ინტეგრაციისათვის, იმიგრანტთა და მათი ბავშვებისათვის ენის სწავლების პროგრამების დაფინანსების გაზრდაა საჭირო. სხვა მხრივ, იმიგრაცია მკაცრად უნდა გაკონტროლდეს და შეიზღუდოს.

## ჩვენ, ორივენი, პროვინციიდან მოვდივართ, ის ტეხასელია, მე - ბავარიელი

შტოიბერის კრიტიკოსები მას საგარეო პოლიტიკაში გამოუცდელად მიიჩნევენ. ეს ნორმალური მოვლენაა, როცა ახალი ლიდერი საერთაშორისო პოლიტიკის რთულ დეტალებში კარგად ვერ ერკვევა. გერმანიაში კარგად ახსოვთ კოლის მმართველობის პირველ წლებში დაშვებული საგარეოპოლიტიკური ლაფსუსები. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში შტოიბერის ახლანდელი ვიზიტისას, მისი გუნდის წევრები, თითოეული შეხვედრისა თუ ინტერვიუს დროს, დაძაბულად შესცქეროდნენ საკუთარ უფროსს, რათა მას რაიმე უხეში შეცდომა არ დაეშვა. მათდა გასახარად, ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა. როგორც ჩანს, უმცროსმა ბუშმა და შტოიბერმა ერთმანეთს კარგად გაუგეს. ამერიკის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ, კანცლერობის კანდიდატმა თქვა: ბუშიც ჩემსავით პროვინციიდან მოდის. მასზეც ამბობდნენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში არაფერი ესმოდა, მაგრამ ეს ასე არ არისო. როგორც ჩანს, შტოიბერს ამით იმის თქმა უნდოდა, რომ საერთაშორისო პრობლემები მასაც კარგად ესმის. სხვა მხრივ, შტოიბერმა და ბუშმა ამერიკულ-გერმანული კავშირის ურღვევობა კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

ევროპაში განსაკუთრებული ყურადღება შტოიბერის საფრანგეთში ვიზიტმა და პრეზიდენტ შირაკთან შეხვედრამ მიიპყრო. შირაკმა, ალბათ, არჩევნებში წარმატების საიდუმლო გაანდო შტოიბერს. მიმომხილველებს არც მიღების საკმაოდ თბილი ატმოსფერო გამოპარვიათ მხედველობიდან. მათი აზრით, პარიზის გოლისტური მთავრობა გერმანიაში კონსერვატორების გამარჯვებას უნდა მიესალმებოდეს. თავად შტოიბერმაც მიუთითა, რომ იგი ე.წ. ელისეის შეთანხმების რეანიმაციას უჭერს მხარს. ამ შეთანხმებას, რომელმაც საფრანგეთ-გერმანიის ისტორიულ მეტოქეობას დაუსვა წერტილი, 1961 წელს შარლ დე გოლმა და კონრად ადენაუერმა მოაწერეს ხელი. დე გოლი შირაკის, ხოლო ადენაუერი შტოიბერის იდეური მამები არიან.

საინტერესია, რომ შტოიბერმა, პარიზში ყოფნის დროს, ევროპული ფედერაციის იდეას დაუჭირა მხარი. მისი აზრით, უნდა გაძლიერდეს საერთოევროპული ორგანო - ევროკომისია. კანცლერობის კანდიდატი უახლოეს ამოცანად მიიჩნევს, ასევე, ევროპის ერთიანი თავდაცვის პოლიტიკის მშენებლობას. ევროპის წინაშე მდგარი უამრავი პრობლემის მოსაგვარებლად, ევროკავშირის სამხედრო კომპონენტის გაძლიერებაა აუცილებელი. იგი ვერ შეცვლის ამერიკას და ჩრდილო-ატლანტიკურ კავშირს, მაგრამ გაზრდის ევროპის როლსა და მნიშვნელობას მსოფლიოში, ასეთი იყო შტოიბერის აზრი. ამ იდეების მიღმა ქრისტიან-დემოკრატების ევროპულ საკითხთა ექსპერტის, შოიბლეს მოსაზრებები იკითხება. თავად შტოიბერს ადრე ანტიევროპელობაშიც კი სდებდნენ ბრალს. ამის დასტურად ასახელებდნენ შტოიბერის ახლო კავშირს პოპულისტ პოლიტიკოსებთან, იტალიის პრემიერ ბერლუსკონისთან და ავსტრიელ ჰაიდერთან. ახლა, როგორც ჩანს, ფერისცვალების დრო დადგა: ის, რაც შეეფერება ბავარიის მმართველს, აღარ შეეფერება გერმანიის კანცლერს.

ძირითადად, გერმანიის საგარეო პოლიტიკა, მთავრობის ცვლილების შემთხვევაში, არ შეიცვლება. იგივე დადასტურდა შტოიბერის რუსეთის პრეზიდენტთან, ვლადიმირ პუტინთან შეხვედრის დროსაც. როგორც შტოიბერმა თქვა, რუსეთის მნიშვნელობა გერმანიის ყველა პოლიტიკური ძალის მიერ თანაბრადააა აღიარებული და ამ მხრივ რაიმე სიახლე, მისი გამარჯვების შემთხვევაში, არ იქნება. ჩამოყალიბებული ქვეყნებისათვის მთავრობის ცვლილება საგარეო პოლიტიკაში დიამეტრალურ გარდაქმნებს, უმეტესწილად, არ იწვევს. პირველეს ყოვლისა, ასეთ ქვეყნებში საგარეო პოლიტიკის საკითხებზე საერთო-საზოგადოებრივი კონსენსუსი უკვე ჩამოყალიბებულია. მეორეც, მისი საგარეო პარტნიორები ქვეყნისაგან მოელიან, რომ იგი ძველი კურსის ერთგული დარჩება. თუ შტოიბერის გუნდის გერმანიის არმიის - ბუნდესვერის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებულ გეგმებს გავიხსენებთ, მოსალოდნელია, რომ გერმანიის როლი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე ჰუმანიტარულ თუ ანტიტერორისტულ აქციებში უფრო გააქტიურდება.

## რას უნდა ველოდეთ საქართველოში?

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ თუ 22 სექტემბერს გერმანიას ახალი მთავრობა ეყოლება, საქართველოსთვის ამას არსებითი მნიშვნელობა ნამდვილად არ ექნება. გერმანიის დაინტერესება საქართველოს მიმართ, უმეტესად, ჰუმანიტარული ხასიათისაა და მისი პოლიტიკაც, ძირითადად, ევროკავშირის ხაზით ხორციელდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ, ზოგადად, გამკაცრდება იმიგრაციის საკითხები, განსაკუთრებით კი, არალეგალური იმიგრაციისა და მუშაობის წინააღმდეგ ბრძოლა. მით უფრო, რომ ამას წინათ, სევილიაში გამართულ სამიტზე ამ საკითხების ირგვლივ თანამშრომლობაზე ევროკავშირის ლიდერები უკვე შეთანხმდნენ.

გერმანიის არჩევნებს საქართველოსთვის, სხვა მხრივ, ალბათ, მხოლოდ დიდაქტიკური მნიშვნელობა თუ აქვს. პოპულიზმი - ანუ მოსახლეობის ყალბი დაპირებებით გაბრუება, არც გერმანიისთვისაა უცხო. აქაურ საარჩევნო კამპანიას ჩვენებური მუშტი-კრივისაგან კი სხვადასხვა საკითხებისადმი საქმიანი და ხარისხიანი მიდგომა განასხვავებს. გერმანული ხარისხი რომ ჩვენსას სჯობს, იმედია, ქართველი პოლიტიკოსებისათვის ცნობილია და ამიტომ საწყენიც არ უნდა იყოს.

## ერთი დღე „სამოთხეში"

ეკა გვახარია

მინი გოლფ-კლუბიში "სამოთხე", კლუბისა და ნიაზ დიასამიძის ინიციატივით, 19 ივლისს ჩატარდა"33ა-ს" კონცერტი. საღამოს ვაკის პარკი თანდათან ხალხით გაივსო. ძალიან ცხელოდა და ამიტომ ვერ ნახავდით ადამიანს, რაიმე გამაგრილებელი სასმელის ან ლუდის გარეშე. კონცერტის დაწყებამდე იყო შეხვედრები, მოკითხვები, სატელეფონო საუბრები: "გოლფ-კლუბში ვარ მოდი!", "ნიაზ დიასამიძის კონცერტია", "სცენასთან ვიქნები" და ა.შ.

კონცერტი ქართული პუნქტუალურობით, ანუ ნახევარი საათის დაგვიანებით, დაიწყო. თუმცა, შემსრულებლებსა და მაყურებლებს შორის უშუალო ურთიერთობა მაშინვე დამყარდა.ყველაფერი ძალიან შინაურული და ახლობლური იყო. "დღე ერთია, მელიც "33ა-ს"თან ერთად უკრავდა, ქვემოთ მჯდომ ნაცნობებს ესალმებოდა და უღიმოდა. იქვე იყო ნინო ქათამაძეც,რომელიც მოგვიანებით სცენაზე ავიდა და ნიაზთან ერთად "სულიკო" იმღერა. ნინომ სიმღერა ასე დაასრულა: "სადა ხარ, ჩემო ნიაზო?"

"უბედნიერესი ვარ, იმიტომ რომ ჩემი უსაყვარლესი ადამიანია სცენაზე, ის უნიჭიერესია", აღნიშნა ნინო ქათამაძემ.

"მშვენიერ განწყობაზე ვარ, ამიერიდან პარასკევობით გოლფ-კლუბში ცოცხალი მუსიკის კონცერტები ჩატარდება" გვითხრა ზუმბამ.

რაც შეეხება დღის გმირს, ნიაზ დიასამიძეს, შესვენებაზე, მეგობრებისა და მსმენელების გარემოცვაში, არაჩვეულებრივ ხასიათზე გახლდათ. მას მადლობას უხდიდნენ საღამოს მოწყობისათვის. კონცერტი მალე განახლდა, ზუმბამ და "აუტსაიდერის" რობიმ ექსპრომტად ახალი სიმღერა



*"ზუმბა" და "33ა"* ლევან ხერხეულიძის ფოტო

ეს დღე კი სწორედ დღეს არის" - აღნიშნა ნიაზ დიასამიძემ - "დიდი მადლობა ყველას, ვინც დღეს აქ ხართ, ძალიან მიყვარხართ". კონცერტი საკმაოდ ხალისიანად წარიმართა. მაყურებელი სიმღერებს პირველივე აკორდებით ცნობდა და ტაშით ხვდებოდა. ტექსტები კი ყველამ იმდენად კარგად იცოდა,რომ აყოლა არავის გაჭირვებია. რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო, შესრულდა როგორც ახალი, ასევე ძველი სიმღერები. არ ცხრებოდა ხალხის შეძახილები:"კარგი ხარ, ნიაზ!", "მაგარია!" როდესაც ნიაზ დიასამიძემ იკითხა, ხომ არ მოიწყინეთო, "დრო ჯერ არ არის ამაზე ფიქრის" მისივე სიტყვებით უპასუხა მაყურებელმა. ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მომღერლებთან გამართული დიალოგი, რომელიც ნამდვილად შედგა. სცენასა მსმენელებს შორის არანაირი ზღვარი არ ყოფილა. ზუმბა, რომ შეასრულეს, ხოლო, როდესაც ნიაზი სცენაზე დაბრუნდა, მან ამჯერად ხალხის თხოვნით იმღერა "მე ვზივარ ნავში", "მიყვარს გოგოები", "გეძებდი შენ, შემიყვარდა სხვა", "აგური"... პარალელურად ჩატარდა ლატარეა-გათამაშება ბილეთების მიხედვით. ამ პროცესს "33ა"-მ ძველი რუსული გადაცემის спорт-лото-ს მუსიკა დაადო ფონად. გამარჯვებულებმა მოიგეს "33ა"-ს აუდიო კასეტა და სამი მოსაწვევი მომავალი პარასკევის კონცერტზე, სადაც ამჯერად, მაყურებლის წინაშე ზუმბა-ლენდი წარსდგება.

სტუმრები კვლავ ითხოვდნენ სიმღერებს და არ სურდათ კონცერტის დასრულება, მაგრამ, ორის თხუთმეტ წუთზე, "33ა"-მ და ზუმბამ მსმენელებს შესთავაზეს სიმღერა "ცა", რომლის ტექსტთან ერთად "დამთავრდა დღე", დაასრულეს ეს თბილისური საღამოც.

## რა სარგებლობა მოაქვს პანკისის ხეობას

### სექტემბერში ქართული ხელოვნების ფესტივალი ვენაში გაიმართება

მადი სერებრიაკოვა

ჩვენს ისტორიულ რეალობაში ტაბლა საყოველთაოდ ცნობილ ქართული სუფრის კულტურასა და მასთან დაკავშირებულ კომუნიკაციის ფორმას განასახიერებს, სადაც ყველა სოციალური კლასის წარმომადგენელი ერთმანეთს ჰარმონიულად უთავსებს მუსიკასა თუ პოეზიას. ეს შეხვედრების, დიალოგის და ხშირად, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების ადგილია. კომუნიკაციის ეს ფორმა ამოსავალ წერტილად იქცა ავსტრიაში მოქმედ ქართველ ხელოვანთა ორგანიზაცია "პერონისათვის". ეგიდით - ხელოვნება საზღვრებს გარეშე, "პერონი" სექტემბერში, ვენაში ქართული კულტურის განსაკუთრებით მსხვილმასშტაბიან ფესტივალ "ტაბლას" აწყობს. ფესტივალის მუსიკალური დირექტორი და ერთ-ერთი ორგანიზატორი, ნიკა მემანიშვილი ამ დღეებში "24 საათის" სტუმარი იყო.



*ნიკა მემანიშვილი* იური ლობოდინის ფოტო

ორგანიზაცია "პერონი" უკვე რამდენიმე წელიწადია არსებობს და ავსტრიასა და საქართველოს შორის კულტურული გაცვლისა და თანამშრომლობის გაღრმავებას ისახავს მიზნად. თავის დროზე "პერონის" დამაარსებლებმა, ავსტრიაში მცხოვრებმა ქართველებმა, მხატვარმა ნინო მესხმა და მოქანდეკე გოგი ოქროპირიძემ ქართული კულტურის არაერთი პრეზენტაცია მოაწყვეს ავსტრიელი პუბლიკის წინაშე. თუ დღემდე მათი მოღვაწეობა ძირითადად სამხატვრო კულტურას უკავშირდებოდა, მათ წრეში ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსის ნიკა მემანიშვილის შესვლის შემდეგ, ინტერესთა სფერო მეტად გაფართოვდა. ფესტივალი "ტაბლა" ქართული ხელოვნების რამოდენიმე დარგს მოიცავს და ყოველ მათგანს უჩვეულო, ორიგინალური ფორმით წარმოადგენს.

ქართული ხელოვნების ტრადიციული დარგები მეტნაკლებად ცნობილია ევროპელებისთვის. ქართულ ხალხურ მუსიკას უფესტივალოდაც შესანიშნავად იყენებენ საჭირო მომენტში, ქორეოგრაფიაც არა ერთხელ გამოჩენილა მსოფლიო ასპარეზზე. "ტაბლას" მიზანი კი, ქართული ხელოვნების დღევანდელი დღის ჩვენებაა ავსტრიელი პუბლიკისათვის. ახალგაზრდა შემოქმედთა საპრეზენტაციოდ, ორგანიზატორებმა ძალზედ ორიგინალური და ეფექტური ფორმაც მოიფიქრეს. როგორც ნიკა მემანიშვილმა აღნიშნა, - ახალგაზრდა ქართველ ხელოვანთ ზოგჯერ ჩვენშიც არ იცნობენ – არათუ ავსტრიაში, სამაგიეროდ, ევროპაში სახელი აქვთ მოხვეჭილი ისეთ ავტორებს, როგორებიც არიან - გია ყანჩელი, ოთარ იოსელიანი ან მიხეილ კობახიძეა. შესაბამისად, გადაწყდა ახალგაზრდა ქართველთა შემოქმედება ამ ავტორებმა წარუდგინონ ავსტრიელებს.

ფესტივალი სამი ძირითადი მიმართულებით არის დაგეგმილი. კინოს, ოთარ იოსელიანისა და მიხეილ კობახიძის გარდა, დიტო ცინცაძე და გოგა ხაინდრავა წარმოადგენენ. დაგეგმილია ასევე მოკლემეტრაჟიანი და ვიდეო ფილმების ჩვენებაც. მხატვრობა ოლეგ ტიმჩენკოს, გია სუმბაძის, გურამ წიბახაშვილის, გიორგი ოქროპირიძისა და ვატო წერეთლის ფოტოები, ფერწერული, სკულპტურული და ინსტალაციური გამოფენებით იქნება წარმოდგენილი. ფინალში კი მაკა ასათიანის გახმაურებული "პანკისის" ჩვენება შედგება.

განსაკუთრებით საინტერესო მუსიკალური ღონისძიებებია. "ტაბლას" ფართომასშტაბიანი კონცერტი "პანორამა" გახსნის. იდეის ავტორი და კონცერტის დირიჟორი ნიკა მემანიშვილი ამ სათაურს ახალგაზრდა კომპოზიტორ ეკა ჭაბაშვილს "დაესესხა". "პანორამა" ახალი ქართული პროფესიული მუსიკის თითქმის ყველა ძირითადი კომპოზიტორის შემოქმედებას მოიცავს: გია ყანჩელის, სულხან ცინცაძის, სულხან ნასიძიდან მოყოლებული - ნოდარ გაბუნიას, ნათელა სვანიძის, ზურაბ ნადარეიშვილის ჩათვლით. რაც მთავარია, წარმოდგენილი იქნებიან ახალგაზრდა კომპოზიტორებიც: მაკა ვირსალაძის, ეკა ჭაბაშვილის, ზვიად ბუცხრიკიძის, თავად მემანიშვილის და სხვათა ნაწარმოებებს ვენის კამერული ანსამბლი და სიმფონიური ორკესტრი შეასრულებს. პროგრამა მოიცავს ასევე ქართული ტრადიციული საგალობლების, ელექტრონული მუსიკის და როკ-კონცერტებს. ამ უკანასკნელს ნინო ქათამაძე და ჯგუფი "ინსაითი" ფლეიტისტ დათო ოძელაშვილთან ერთად წარმოადგენს.

მიუხედავად მუსიკაზე, მხატვრობასა და კინემატოგრაფზე გაკეთებული აქცენტისა, ფესტივალის ორგანიზატორებს არც ლიტერატურა დაუტოვებიათ უყურადღებოდ. რატი ამაღლობელი თავის ლექსებს ნიკასთან ერთად მუსიკალური პერფორმანისის სახით წარმოადგენს.

ფესტივალი ბოლო მომენტამდე ფინანსური პრობლემების წინაშე იდგა. ფინანსურ მხარდაჭერაზე უარი განაცხადა ჰოლდინგმა "არტიმედმა" – ამ უკანასკნელის წარმომადგენელთან საუბარში გაირკვა, რომ მათ არანაირი გადაწყვეტილება ამ ფესტივალთან დაკავშირებით არ მიუღიათ და ძირითადად საკუთარი პროექტებით არიან დაკავებულნი. საბოლოო ჯამში, ძირითად სპონსორად სახელმწიფო და კულტურის სამინისტრო მოგვევლინება. კომიკურია, რომ პანკისის პრობლემამ ერთი დადებითი შედეგი მოიტანა საქართველოსთვის – გაზაფხულზე მაკა ასათიანის პანკისში გამართული ჩვენების შემდეგ სახელმწიფომ კეთილი თვალით გადახედა ამ პროექტზე მომუშავე ჯგუფს. ავსტრიის დღეების გარდა, სახელმწიფო ნიკა მემანიშვილის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პროექტს – მუსიკალურ დრამას - "შელოცვა რადიოთი", დააფინანსებს.

### ამბები

## Pulp-ის ლიდერი საფრანგეთში დაოჯახდა

ჯარვის კოკერი საფრანგეთში დიდი ხნის მეგობარზე დაქორწინდა. 38 წლის კოკერის რჩეული, კამია (კამილა) ბიდო-უოდინგტონზე არაფერია ცნობილი იმის გარდა, რომ იგი სტილისტად მუშაობს.

წყვილმა ქორწილი საფრანგეთის, მათი თქმით, "იდილიურ" სოფელში გადაიხადა. წვეულებას მხოლოდ Pulp-ის წევრები ესწრებოდნენ. მუსიკოსების თქმით, ყველაფერი ძალიან ლამაზი და რომანტიული იყო. თუმცა, იმის გამო, რომ ზომაზე მეტი დალიეს, ბევრიც არაფერი ახსოვთ.

## სპორტული აუქციონი

საქველმოქმედო აუქციონზე ორი ცნობილი სპორტსმენის ავტომობილები გაიყიდა. ესენია, ინგლისელი ფეხბურთელის, მაიკლ ოუენის წითელი "იაგუარი" ("სოთბის" წინა აუქციონზე ოუენის "იაგუარი" ფეხბურთელის ფანმა 26 ათას ფუნტად შეიძინა) და ინგლისელთა მწვრთნელის, სვენ-გორან ერიქსონის სპეცშეკვეთით დამზადებული "ვოლვო". მთლიანად აუქციონმა, დაახლოებით, 97 ათასი ფუნტი შეაგროვა. აქვე გაიყიდა აირტონ სენისა და დევიდ კულტჰარდის სპორტული მანქანები.

## ბექჰემს განგსტერულ ბოევიკში ილებენ

დევიდ ბექჰემი მკვლელი-ზეადამიანის როლს შეასრულებს ახალ ბრიტანულ განგსტერულ ფილმში Red Light Runners. ბექჰემის გმირი ცალთვალაა, რომელიც მხედველობის დეფექტს ზედმეტად განვითარებული სხვა ორგანოებით ინაზღაურებს. ფილმში ასევე მონაწილეობენ: მაიკლ მედსენი და მარტინ კემპი. ფილმის თანმხლებ მუსიკაზე ბექჰემის მეუღლე, ვიქტორიაც იმუშავებს.

## ელტონ ჯონი ჰოლანდიაში იქორწინებს

ელტონ ჯონის ოჯახური მდგომარეობა, შესაძლოა, რადიკალურად შეიცვალოს. ეს კი, სულაც არ ნიშნავს, რომ რაინდი ელტონ ჯონი სექსუალური ორიენტაციის შეცვლას აპირებს. პირიქით, მუსიკოსმა გადაწყვიტა, გადასახლდეს ჰოლანდიაში, რათა ძველ პარტნიორზე, დევიდ ფერნიშზე იქორწინოს. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ ბრიტანეთში, უკვე მეორე წელიწადია, საუკეთესოდ აღიარებული წყვილის ურთიერთობამ დროს გაუძლო და ამ ყველაფერს ლოგიკური დასასრული სჭირდება, ქორწინების სახით. წყვილის ჰოლანდიაში გადასახლების მიზეზი უფრო ბრიტანული კანონმდებლობაა: თუკი მათ ქორწინებას ინგლისში არ სცნობენ, მაშინ მიღებული მემკვიდრეობიდან ფერნიშმა 98 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს. ელტონ ჯონი კი რჩება რომანტიკოსად. მართალია, დევიდ ფერნიში სულაც არ წააგავს კონკიას, მაგრამ სუპერ-ვარსკვლავისა და სარეკლამო სააგენტოს კლერკის ისტორია ალბათ იმსახურებს ბედნიერ დასასრულს.

## ექსპონატი

ლივერპულის "ბითლზის" მუზეუმში ჯონ ლენონის მრგვალი სათვალეა გამოფენილი. საუბარია, სწორედ იმ, სტაფილოსფერმინებიან სათვალეზე, რომელიც ლენონს, 70-იან წლებში, ალბომ Imagine-ის ჩაწერის დროს ეკეთა. ეს ნივთი 1,6 მილიონ ევროდ არის შეფასებული.

## ქალები ვარსკვლავების ქვეშ

პარიზული მაღალი მოდის კვირეულთან პრესტიჟით ვერაფერი მივა, თუმცა, არანაკლებ ლამაზად ჩატარდა იტალიური კვირეულიც. "დონე სოტო ლე სტელე" (ქალები ვარსკვლავების ქვეშ) ასე ერქვა პროგრამის ბოლოს საღამოს გამართულ შთამბეჭდავ შოუს. რომის ცენტრში, ცნობილ ესპანურ კიბეებზე (ის 137 მარმარილოს საფეხურისგან შედგება და სწორედ იქ არის გადაღებული ოდრი ჰეპბერნის და გრეგორი პეკის განთქმული სცენა "რომაული არდადეგებიდან"), ვარსკვლავების ქვეშ მსოფლიოს წამყვანი მოდელები მაღალი მოდის ნაწარმს წარმოადგენდნენ. "რა ქალაქი, რა პოდიუმი", - აღფრთოვანებას ვერ მალავდა პარიზელი დიზაინერი ემანუელ უნგარო. "რომი საოცარი ქალაქია", - ამაყად ეთანხმებოდა ჯორჯო არმანიც. უნგარომ იტალიური მოდის კვირეულზე წარმოადგინა 2002 წლის შემოდგომა/ზამთრის ის კოლექცია, რომელიც ევროპის მაღალმა საზოგადოებამ წინა კვირას პარიზის მაღალი მოდის კვირეულზე იხილა. არმანი კი მხოლოდ რომის ქება-დიდებით დაკმაყოფილდა – მას ჩვენებებში მონაწილეობა არ მიუღია, სამაგიეროდ არც ერთი საღამო არ გაუცდენია და პოდიუმზე მოსეირნე მშვენიერი მანდილოსნების ფონზე, სიამოვნებით საუბრობდა კოლეგა-დიზაინერებთან, რობერტო კავალისა და რომეო ჯიგლისთან ერთად.

დასკვნითი საღამო სასიამოვნოდ სენსაციური აღმოჩნდა ფეხბურთის მოყვარულთათვისაც. ოდრი ჰეპბერნის და ულამაზესი მოდელების შემდეგ ესპანური კიბეები პიერ ლუიჯი კოლინამაც "ჩამოირბინა". სახელგანთქმულმა იტალიელმა მსაჯმა, რომელიც, სპორტული კერპის გარდა, უკვე პოპკულტურის ნაწილიც არის, რომაულ კვირეულზე დიზაინერ ლაურა ბიაჯოტის კოსტუმი წარმოადგინა. თუმცა, ბუნებრივია, კოლინასთვის საფეხბურთო მოედანზე განცდილი მძაფრი შეგრძნებები პოდიუმის ვნებათაღელვასთან მაინც ვერასდროს მივა – ის ესპანურ კიბეებზე, ასე თუ ისე, მაინც უხერხულად გრძნობდა თავს, რის დაფარვასაც დაბნეული ღიმილით ცდილობდა.

საბოლოო ჯამში, რომის კვირეულმა წარმატებით ჩაიარა. უნგაროს ქებამ კი განსაკუთრებით გააბედნიერა მოდის კვირეულის ორგანიზატორები. ისინი ცდილობენ, ქალაქს დაკარგული სტატუსი დაუბრუნონ – ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, პარიზის მოდის კვირეულების გამო, რომს მოდის დედაქალაქად ველარავინ აღიქვამს. ასე რომ, რომის გადარჩენა ესპანურ კიბეებზეა დამოკიდებული.



*ნაომი კემპბელი*



*ლეტიცია კასტა*



*ევა ჰერციგოვა*



*პიერ ლუიჯი კოლინა*

*Tour de France*

# ბრავო, ჟაჟა, ბრავო!

ლუჩანო ტაიოლი
ლანემეზან „ პლატ დე ბელი
სპეციალურად „24 საათისთვის„

გინახავთ, ფინიშზე სამ ათეულს მიღმა დარჩენილ სპორტსმენს ოვაციით ხვდებოდნენ? გინახავთ, ფინიშთან თორმეტი წუთის დაგვიანებით მისულ ველომრბოლს თვითონ სპორტსმენები უკრავდნენ ტაშს? გაგიგონიათ, ვეტერანი სპორტსმენი, კაცი, რომელმაც ეს-ეს არის გააკეთა განცხადება დიდი სპორტიდან წასვლის შესახებ, სპორტულ გმირობას სჩადიოდეს? თუ არ გინახავთ და არც გაგიგონიათ, მაშინ თქვენ არც ტურ დე ფრანსის მეთორმეტე ეტაპი გინახავთ. საწყენი კია...

საწყენია იმიტომ, რომ სპორტი მარტო წამები, მეტრები და გოლები არ არის. სპორტი ურთიერთგატანის, სიმამაცის, სულის სიმტკიცის მაგალითების საქვეყნოდ დემონსტრირების საშუალებაა.

ლორან ჟალაბერმა, ფრანგები სიყვარულით ჟაჟასაც რომ ეძახიან, რამდენიმე დღის წინ თქვა, ტურის შემდეგ სპორტს ვტოვებო. განცხადება მშვიდად და ასევე მშვიდ გარემოში გააკეთა. თუმცა, ყველა მიხვდა იმ დღეს, რომ რაღაც მოხდებოდა, რაღაც არაორდინარული, ჟაჟასეული. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ფრანგი ველომრბოლი ასე უბრალოდ და ჩუმად არ მიატოვებდა საქმეს, რომელსაც ორი ათეული წელიწადი ემსახურა.

მაინც რა უნდა ექნა ჟალაბერს, ვის დაპირისპირებოდა - ამერიკელი არმსტრონგის ფანტასტიკურ გუნდს თუ კბილებდალესილ ახალგაზრდა მრბოლებს, ან იქნებ ტურზე საკმაოდ დიდი ამბიციებით ჩამოსულ ესპანურ "ონსესა" და "კელმეს"? ცხადია, არა. ესეც არ იყოს, თავის არცთუ ურიგო გუნდთან ერთად რომელი ჭკუათმყოფელი მისცემდა შეტევის საშუალებას კაცს, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, საოცარი ტაქტიკური ნიჭით არის დაჯილდოებული, შეუშვებდა ვინმე მელას საქათმეში? მარტო კაცი კი... ათეული წლების ასობით მაგალითი ირწმუნება, რომ...

ლორან ჟალაბერი ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო. მარტო, ყოველგვარი გრეგარებისა და დამხმარეების გარეშე წავიდა თავის, ალბათ, უკანასკნელ სპორტულ ავანტიურაზე.

ეს მოხდა მეთორმეტე ეტაპზე. ორასკილომეტრიანი გზა და ხუთი უღელტეხილი – ასეთი იყო ტრასა, რომლის დაპყრობის შემთხვევაში ჟალაბერი მთის მეფის ნომინაციის ლიდერი ხდებოდა. მაგრამ ჯერ ლანემეზანიდანვე გაქცეული ქრისტოფ ორიოლის დაჭერა იყო საჭირო. საქმე ის არის, რომ მთის მეფის ნომინაციის ქულები მთებზე პირველამსვლელებს ეძლევათ. პირველს - მაქსიმუმი, მეორეს - ცოტა ნაკლები, მესამეს - უფრო ნაკლები და ასე შემდეგ.

ვეტერანმა ფრანგმა იერიში სტარტიდან ორმოცდამეათე კილომეტრზე, პირველი უღელტეხილის ძირში დაიწყო. მალე კიდევ ერთი ჯგუფი გამოეყო პელოტონს. მათ შორის იყო ორი ველომრბოლი, რომელთა განზრახვა იოლად იკითხებოდა. ერთს ამ მომენტში ზემოხსენებული ნომინაციის ლიდერის წითელხალებიანი მაისურა ეცვა, მეორე კი, ამავე ჯილდოს ხუთგზის მფლობელი, მეექვსე გამარჯვებაზე ფიქრობდა. ერთი ჰალგანი იყო, მეორე – ვირანკი.

პირველი მთა პირველმა ყველაზე ადრე გაქცეულმა ქრისტოფ ორიოლმა გადაიარა. ჟალაბერი მეორე იყო და ოცდაექვსი ქულა ჩააგდო ყულაბაში. რიგით მეორე მთაზე, ანუ პორ დ`ასპეზე ასვლისას ჟალაბერი დაეწია ორიოლს, მაგრამ გასწრება აღარ უცდია – მთაში ასეთი წვალებით შეძენილ ამხანაგს ჭკუათხელი თუ შეელევა. ამასობაში ვირანკი და ჰალგანი დარწმუნდნენ განზრახვის უნაყოფობაში და თანდათან ჩამორჩნენ ჯგუფს, რომელშიც მეწინავეობა დიუფომ და ნოზალმა იკისრეს.

ჟალაბერმა პირველმა გადაიარა მეორე კატეგორიის პორ დ`ასპი და კიდევ ოცი ქულა შემატა მონაგარს. ახლა ის უკვე ლიდერობდა მთის მეფის ტიტულისთვის ბრძოლას, მაგრამ წინ კიდევ დ`ასპის ციცაბო დაღმართი და სამი მთა იყო.

არ ვიცი, ახსოვს თუ არა მკითხველს სულ პირველ რეპორტაჟში ნახსენები ობელისკები. მაშინ ვთქვი, რომ ასეთი ობელისკებით მოფენილია პირენეებისა და ალპების ტრასები და, არ იქნება, ტურ დე ფრანსის რომელიმე ეტაპმა არ ჩაუაროს გზისპირზე მომყუდროებულ ერთ-ერთ ასეთ ობელისკს-მეთქი.

დ`ასპის ციცაბო დაღმართი სწორედ ასეთი ადგილია. 1995 წელს იტალიელი ფაბიო კაზარტელისთვის ეს ეტაპი უკანასკნელი გამოდგა. წლისთავზე ველოსიპედისტს იქ ძეგლი დაუდგეს. მას შემდეგ ტურმა ორჯერ გაიარა ეს ადგილი. ბიჭები სალუტს აძლევენ კოლეგის ხსოვნას და გზას აგრძელებენ...

...თითქმის სამი წუთით ჩამორჩნენ ვირანკი და ჰალგანი, ოთხით – პელოტონი. ჟალაბერის გზაში ნაპოვნმა თანამგზავრმაც ვერ გაუძლო ტემპს და ფარ-ხმალი დაყარა. სანაცვლოდ დიუფო და ნოზალი წამოეწივნენ ავანტიურის მოთავეს, თუმცაღა, ესენი ჟალაბერისთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდნენ.

პირველი კატეგორიის ლა კორზე (14 კმ. და 1400 მ. ზღვის დონიდან) ჟალაბერი, დიუფო და ნოზალი ერთად ავიდნენ. ფინიშის ხაზი პირველმა ისევ ვეტერანმა გაიარა. აქედან მეოთხე უღელტეხილის წვერამდე 50 კილომეტრი იყო. ამ გზაზე ბევრი არაფერი შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მდევართა ჯგუფი პელოტონში გაითქვეფა.

პორის თორმეტკილომეტრიანი აღმართი სულ რაღაც ხუთპროცენტიანი დახრილობისაა და ჟაჟასა და მის მთაში შეძენილ მეგობრებს იქ ასვლა მაინცდამაინც არ გასჭირვებიათ. ამასობაში სხვაობამ მათსა და პელოტონს შორის ხუთ წუთს, ჟალაბერის ქულათა მარაგმა კი ას ორმოცდაორს მიაღწია. პელოტონში მყოფი ას სამოცდათვრამეტი ველომრბოლიდან არც ერთს არ ჰქონდა 57 ქულაზე მეტი, ასე რომ, გაქცეულებს სრული უფლება ჰქონდათ, მშვიდად დაშვებულიყვნენ ბოლო დაღმართზე და მერე პელოტონთან ერთად აევლოთ უმაღლესი კატეგორიის პლატ დე ბელი.

სამეული, უფრო ზუსტად კი, ჟალაბერი, არ გაჩერდა. იმისდა მიუხედავად, რომ დაღლილს, ბოლო, თექვსმეტკილომეტრიან აღმართზე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის მცირეოდენი შანსიც კი არ ჰქონდა. ზურგს უკან დასვენებული და სისხლმოწყურებული მგლების ხროვა მოსდევდა ნაკვალევს.

პლატ დე ბელის ძირში სხვაობა სამ წუთამდე შემცირდა. აქედან დაიწყო უთანასწორო ბრძოლა ვეტერან ფრანგსა და დანარჩენებს შორის. ბრძოლა, რომლის ფინალიც იმთავითვე იყო ცნობილი.

პელოტონმა ჯერ ნოზალი დაიჭირა, შემდეგ - დიუფო და ბოლოს, დაახლოებით შუაწელში...

ბოლო ვირაჟში უკვე გამოჩნდნენ გაალმასებული მდევრები – არმსტრონგი, ჰერასი და ბელოკი. ლორანი კი ისევ ატრიალებდა პედლებს, ისევ მარჯვედ ებრძოდა გულშემატკივრების აღრიალებულ დერეფანსა და სასტიკ აღმართს. ვერ გეტყვით, რა აძლევდა ძალას, ალბათ, ის, რომ ამ დროს მასთან იყო ჯერ კიდევ მთის ძირში მყოფი მისი გუნდი; იქნებ ყურის ფოსოში მოთავსებული მინირადიომიმღების ხრიწინს შერეული გუნდის სპორტული დირექტორის ბიარნე რიისის გამამხნევებელი ხმაც – "მიდი, მიდი, ლორან!" შეიძლება ისიც, რომ სწორედ ამ წუთებში მას, ჟაჟას მისჩერებოდა ტელევიზორების ეკრანებზე მთელი საფრანგეთი... იქნებ არც გჯერათ, იმიტომ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ველოსპორტია, იმიტომ, რომ ფეხბურთი არ არის?!

...ეს ფაქტი არც ფრანგულია, არც იტალიური, არც ბელგიური. ეს ამბავი ველოსპორტის მეორეხარისხოვან ქვეყანაში – დანიაში მოხდა. 1997 წლის 11-12 ივლისს ამ ქვეყანაში დანიშნული იყო პრეზიდენტ კლინტონის ოფიციალური ვიზიტი. დაიგეგმა ტელევიზიით მისი გამოსვლის პირდაპირი ტრანსლაცია. ცხადია, ეს ყველაფერი ვიზიტამდე კარგა ხნით ადრე მოხდა და ტელევიზიას როგორღაც გამორჩა, რომ ეს დღეები ტურ დე ფრანსის დღეებს ემთხვეოდა. გასაკეთებელი იყო არჩევანი: ან ამერიკელი პრეზიდენტი, ან – ტური. დანიის ტელევიზიის ხელმძღვანელობამ უპირატესობა ტურ დე ფრანსს მიანიჭა. მისი გადაწყვეტილებით, "მაღალი სტუმრის" სიტყვა ჩანაწერით გადაიცა საფრანგეთიდან მორიგი ეტაპის რეპორტაჟის შემდეგ.

...არმსტრონგის შთამბეჭდავი გამარჯვებიდან მთელი თორმეტი წუთი იყო გასული, როცა ფინიშის სწორზე სასტიკად დაღლილი სპორტსმენი გამოჩნდა. უცნაური და უჩვეულო იყო ეს სვლა – სარეკლამო დაფებს შორის მოქცეულ ბრტყელ თეთრ ხაზამდე იმდღევანდელი ეტაპის ჭეშმარიტ გამარჯვებულს რამდენიმე ათასი ქომაგის ჟრუანტელის მომგვრელი "ბრავო, ჟაჟა!" მიაცილებდა.



ლორან ჟალაბერი

REUTERS

**ტექნიკური შედეგები**

**XII ეტაპი.** ლანემეზან – პლატ დე ბელი. 198 კმ.

1. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) – 6 სთ. 00 წთ. 29 წმ.
2. რობერტო ჰერასი (US პოსტალი, ესპანეთი) - +1წთ. 04წმ.
3. ხოსება ბელოკი ("ონსე", ესპანეთი) - +1წთ. 04 წმ.

**საერთო ჩათვლა**

1. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) – 46 სთ. 47 წთ. 47 წმ.
2. ხოსება ბელოკი ("ონსე", ესპანეთი) - +2 წთ. 28 წმ.
3. იგორ გონზალეს გალდეანო ("ონსე", ესპანეთი) - +3 წთ. 19 წმ.

**მთის მეფე**

1. ლორან ჟალაბერი (CSC ტისკალი, საფრანგეთი) – 142 ქულა
2. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი) – 84
3. ხოსება ბელოკი ("ონსე", ესპანეთი) - 66

*კალათბურთი*

# საბონისის ჯერია

დიმიტრი ობოლაძე

ლიტველი გიგანტის დასაკუთრებისთვის უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობს. საბონისი 38 წლისაა. ამის მიუხედავად, მისთვის თავგამოდებით იბრძვიან ევროპაშიც და ამერიკაშიც. დღეს ზუსტადაა ცნობილი, რომ ლიტველი აქტიურ კალათბურთს უბრუნდება. ამის შესახებ მან საჯაროდ განაცხადა. თუმცა, არსებობს ვერსია, რომ შეიძლება ისევ გადაიფიქროს. ეს უნიკალური კალათბურთელი დიდი ცდუნების წინაშე დგას - მას თავად ფილ ჯექსონი და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი, "ლოს-ანჟელეს ლეიკერსი" უხმობენ. ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ ლიტველი, ასაკის გამო ,ლიგაში ვერ ითამაშებს. მოვიშველიოთ ფაქტი: "იუტა ჯაზის" ლიდერი, კარლ მელოუნი 39 წლისაა, მისი პარტნიორი სტოქტონი – 40-ის და ამჟამად მათთან კონტრაქტის რამდენიმე წლით გაგრძელების თაობაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება. თუმცა, არსებობს ერთი პრობლემა: საბონისს აკლია სათამაშო პრაქტიკა. 2001 წლის შემდეგ ის მოედანზე არ გამოსულა და პირწმინდად "ჩააგდო" წინა სეზონი. მას არც "ჟალგირისის" რიგებში უთამაშია (თუმცა, განაცხადში იყო). გავრცელებული მოსაზრებით, საბონისი "ლეიკერსში" უნდა წავიდეს. მას ეძლევა შანსი, გახდეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი, რაც უამრავი კალათბურთელისთვის სანუკვარი ოცნება და ხშირად ცხოვრების მიზანიც გამხდარა. საინტერესოა ალექსანდრ გომელსკის მოსაზრება: "საბონისს ყველაფერი შეუძლია. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენი წლისაა იგი. ის აზრი, რომ ლიტველი შაკილ ონილის შემცვლელად სჭირდებათ, სასაცილოდ მეჩვენება. პირიქით უნდა იყოს. ონილი ქულების მომტანი, ნაკლებად მოაზროვნე მანქანაა. საბონისი კი თანამედროვე კალათბურთელის ეტალონია." ეს ფრაზა დიდ ჭეშმარიტებას შეიცავს. ყველას კარგად ახსოვს საბონისის შესრულებული საოცარი გადაცემები და სამქულიანი ტყორცნები. იგი, ონილისგან განსხვავებით, ზუსტად ასრულებს საჯარიმო ტყორცნებს და ძალიან ძლიერია დაცვაში.

"ჟალგირისის" ვარიანტი ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა, არვიდასს კაუნასში საკალათბურთო ბიზნესი აქვს - "ჟალგირისის" აქციების უდიდესი ნაწილის მფლობელია. საბონისმა გახსნა საკუთარი ბავშვთა საკალათბურთო სკოლა, რომელიც ლიტვური კალათბურთის მომავალს უზრუნველყოფს. ახლა საბონისი ესპანეთშია. მას "უნიკახა" და მადრიდის "რეალი" ელიან. მალაგადან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მას აქვს საკუთარი სახლი, რომელშიც მუდმივად ცხოვრობს მისი ოჯახი. სწორედ ეს ფაქტი გახლავთ "უნიკახას" მთავარი კოზირი საბონისისთვის ბრძოლაში. იმედი აქვს მადრიდის კლუბსაც. მოკლედ, ლიტვური კალათბურთის ლეგენდა დიდი არჩევნის წინაშე დგას. მას შეუძლია, კიდევ ერთი სეზონი "დაიძაბოს", "ლეიკერსთან" ერთად იბრძოლოს და, ალბათ, გახდეს კიდეც ასოციაციის ჩემპიონი; დარჩეს ესპანეთში და მთელი სეზონის (ან სეზონების) განმავლობაში "ათრიოს" "რეალი" ან "უნიკახა"; და ბოლოს, სამშობლო და "ჟალგირისი", რაც ყველაზე ნაკლებად სავარაუდოა.

ესპანეთის ოფიციალურ საკალათბურთო საიტზე სტატისტიკური გამოკითხვა ჩატარდა. თემა: რომელ კლუბში ითამაშებს არვიდას საბონისი? 23 ათასი რესპონდენდენტიდან 31 პროცენტი თვლის, რომ ლიტველი საერთოდ არ დაუბრუნდება კალათბურთს. 23-მა პროცენტმა გადაწყვიტა, რომ საბონისი კარიერას "უნიკახაში" განაგრძობს. 11 პროცენტს კი მიაჩნია, რომ ბრძოლას "რეალი" მოიგებს; გამოკითხულთა 33 პროცენტი ფიქრობს, რომ არვიდას საბონისი "სხვა კლუბში" წავა, ანუ, ლოგიკურად, "ლოს-ანჟელეს ლეიკერსს" აირჩევს. ეს საუკეთესო არჩევანი იქნება. აქამდე ასოციაცია ორმა კალათბურთელმა - მეჯიკ ჯონსონმა და ლეგენდარულმა მაიკლ ჯორდანმა ააფორიაქა. ახლა საბონისის ჯერია.

## შაკილ ონილი ახალ ამპლუაში

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავი, "ლოს-ანჟელეს ლეიკერსის" ლიდერი, შაკილ ონილი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ მრავალმხრივი ადამიანია და, კალათბურთის გარდა, მუსიკასა და, საერთოდ, კულტურაშიც კარგად ერკვევა. შაკილმა სცენარი დაწერა და წამყვან ტელეკომპანიებს ჩამოუარა. ამ მხრივ მას გარკვეული გამოცდილებაც აქვს. კალიფორნიელი შვიდ მხატვრულ ფილმშია გადაღებული და რეპის სტილში 5 ალბომი აქვს ჩაწერილი. ახლა ონილი ტელეარხებს სთავაზობს სერიალის სცენარს, რომელშიც მთავარი თემა სპორტი და, რა თქმა უნდა, კალათბურთია. მასში მოთხრობილია ორი კალათბურთელის მეგობრობის შესახებ. სცენარის მიხედვით, ზოგიერთ ეპიზოდში დაგეგმილია თავად ონილის გამოჩენა. ორმა ტელეკომპანიამ შაკილის პროექტის მიმართ ყურადღება გამოიჩინა და პასუხიც რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. "ამ პროექტმა გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე სხვა სპორტსმენთა ნატანჯმა იდეებმა", - ამბობს ერთ-ერთი პროდიუსერი.

## ბრაიანტისა და "ადიდასის" გზები გაიყარა

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი, კობი ბრაიანტი ფირმა "ადიდასთან" ასოცირდებოდა. თუმცა, კომერციული კონტრაქტი ამოიწურა და სპორტსმენისა და სპონსორის ურთიერთობაც შეწყდა. ამის შესახებ გაკეთებულ განცხადებაში არაფერია ნათქვამი მიზეზებზე. "მომავალ სეზონში სხვადასხვა ფირმის სპორტული ფეხსაცმლით ვითამაშებ. იმედია, მუდმივ სპონსორსაც ვიპოვი", - განაცხადა ბრაიანტმა. ჟურნალისტები კი უკვე ფინანსურ მოტივებზე ალაპარაკდნენ. ამბობენ, რომ კალათბურთელმა ასტრონომიული თანხა მოითხოვა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო.

## NBA-ში მხოლოდ ერთი ქალი დარჩა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ უარი თქვა, ორიდან ერთი ქალი არბიტრის, დიი კანტნერის სამსახურზე. საკალათბურთო ოპერაციების ვიცე-პრეზიდენტმა, სტივ ჯექსონმა კონტრაქტის შეწყვეტის მიზეზებზე ისაუბრა. "ჩვენი აზრით, მსაჯმა პროგრესი უნდა განიცადოს. კანტნერის შემთხვევაში ეს არ მოხდა. ამის გამო კონტრაქტი შევწყვიტეთ."

კენტნერმა და ვიოლეტ პალმერმა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის შეხვედრების მსაჯობა 1997 წელს დაიწყეს და ამერიკის შეერთებულ შტატებში გახდნენ პირველი ქალები, რომლებიც კაცების თამაშებს უძღვებოდნენ. კანტნერი 1997 წლამდე ქალთა საკალათბურთო ასოციაციის მსაჯების ხელმძღვანელი იყო და, ალბათ, ისევ იქ დაბრუნდება.

*ფეხბურთი*

# ჩემპიონთა ლიგის ამბები

დიმიტრი ობოლაძე

მესამე წელია, ისეთ პრესტიჟულ ასპარეზობას, როგორიც არის უეფას ჩემპიონთა ლიგა, ქართველი დირექტორი ჰყავს. დავით პეტრიაშვილი ჩემპიონთა ლიგის დირექტორად 1999 წელს დაინიშნა. ახლახან ის იმყოფებოდა შვეიცარიის ქალაქ ნიონში, სადაც დასრულდა ჩემპიონთა ლიგის 2002-03 წლების სეზონის დირექტორთა შეკრება. დავით პეტრიაშვილი კვლავ დატოვეს ლიგის დირექტორად. პეტრიაშვილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატია. კითხვაზე, გამარჯვების შემთხვევაში, შეძლებს თუ არა იგი ჩემპიონთა ლიგის დირექტორის ფუნქციების შეთავსებას, გვიპასუხა: "ეს შეკითხვა უეფა-ს გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმაც დამისვა. მე დადებითად ვუპასუხე, რადგან მიმაჩნია, რომ ეს მხოლოდ გაზრდის ჩემს პროფესიონალიზმს. "შავი სამუშაოს" შესრულება არავინ უნდა იუკადრისოს. ფედერაციის პრეზიდენტი გასახდელებშიც უნდა შედიოდეს და თავისი მეურნეობის დეტალებშიც უნდა ერკვეოდეს. მოკლედ, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაშიც, ვრჩები ლიგის დირექტორად".

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის მომავალ პერიპეტიებს: მაყურებელი იხილავს პირდაპირ რეპორტაჟებს უეფა-ს ოფიციალური პარტნიორის, სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის ეთერში. პირველი ტური 17-18 სექტემბერს გაიმართება. თუმცა, მანამდე ეთერში გავა ყოველკვირეული სატელევიზიო ჟურნალიც. უკვე ცნობილია იმ 16 გუნდის ვინაობა, რომლებიც პირდაპირ, საკვალიფიკაციო ეტაპების გავლის გარეშე, მოხვდნენ ძირითად ბადეში. ინგლისს ჯერჯერობით "ლივერპული" და "არსენალი" წარმოადგენენ. ესპანეთი სამი გუნდითაა წარდგენილი: "რეალი", "ვალენსია" და "დეპორტივო". ორ-ორი გუნდი ჰყავთ გერმანიას, საფრანგეთს, იტალიასა და ჰოლანდიას, თითო - თურქეთს, საბერძნეთსა და რუსეთს. ძირითადი ტურნირი, ანუ პირველი ჯგუფური ეტაპი, 17 სექტემბერს იწყება და 9 თვეში ინგლისის ქალაქ მანჩესტერის "ოლდ ტრაფორდზე" ფინალით დასრულდება. სეზონი ოფიციალურად 29 აგვისტოს, ჩემპიონთა ლიგის მონაწილე 32 გუნდის კენჭისყრით, მონაკოში გაიხსნება. მეორე დღეს გაიმართება სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი. სუპერთასისთვის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, მადრიდის "რეალი" და უეფა-ს თასის მფლობელი, ჰოლანდიის "ფეიენოორდი" იბრძოლებენ. "რუსთავი-2" ამ ორივე მოვლენის პირდაპირ რეპორტაჟს შემოგთავაზებთ.

# დღეს ნორვეგიაში

სტარტს აიღებს ფეხბურთში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალური ეტაპი. ასპარეზობა დიდ ინტერესს იწვევს. ჩემპიონატში 19 წლის ფეხბურთელები მიიღებენ მონაწილეობას. 150 ფეხბურთელს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული 200 აგენტი დააკვირდება, თუმცა, აგენტთა მოზღვავება ნაკლებად აინტერესებს ტურნირის ორგანიზატორს - ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციას, რომელიც უფრო საორგანიზაციო საკითხებითაა დაკავებული. "მათ ჩვენ მხოლოდ ბილეთების შეძენაში დავეხმარებით და რიგში დგომას თავიდან ავაცილებთ", - განაცხადა ფედერაციის პრეს-ატაშემ. მონაწილე გუნდები (ნორვეგია, ინგლისი, სლოვაკეთი, ესპანეთი, ჩეხეთი, გერმანია, ბელგია და ირლანდია) ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. ფინალისტების ვინაობა ერთ კვირაში გაირკვევა. გადამწყვეტი მატჩი კვირას, 28 ივლისს, ცნობილ "ულევოლის" სტადიონზე გაიმართება. ექვსი საუკეთესო გუნდი შესარჩევი ეტაპის გარეშე მოხვდება მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

*რაგბი*

# სამი ერი

### ახალი ზელანდია - სამხრეთ აფრიკა 41:20

წინა კვირას ახალზელანდიელთა გამარჯვებით დაწყებული სამი ერის გათამაშება ასევე გრძელდება. "ოლ ბლექსისგან" დამარცხებულ ავსტრალიურ "ვოლაბიზს" გუშინ სამხრეთაფრიკელი "ქურციკები" შეუერთდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ზელანდიელები მთელი შეხვედრის განმავლობაში უკეთ გამოიყურებოდნენ, რაც მატჩის საბოლოო ანგარიშზეც აისახა.

# ტეხასის სიცხე და "ბეჭდების მბრძანებელი"



კადრი ფილმიდან "ბეჭდების მბრძანებელი" REUTERS

გსურთ, გაიგოთ, როგორ იქმნებოდნენ "ვარსკვლავეთის ომების" გმირები, როგორ შეიძლება, შეცვალოს კომპიუტერულმა თამაშებმა კაცობრიობის მომავალი? ამ და სხვა კითხვებს სან ანტონიოში (ტეხასის შტატი) ჩატარებული კონფერენცია Siggraph 2002 გასცემს პასუხს. ის, მულტიმედიის საკითხებისადმი მიძღვნილი, მსოფლიოში უდიდესი თავყრილობაა, რომელსაც 6500-მდე საერთაშორისო ექსპერტი ესწრება. ისინი გასართობი ინდუსტრიის კომპიუტერული მომავლის შესახებ მსჯელობენ. თუმცა, ცალკეული ლექციები ეძღვნება ციფრული ტექნოლოგიით გაკეთებულ ფილმებზე მსჯელობასაც. ამ პროგრამის ფარგლებში ნათელი მოეფინება ახალი ციფრული შედევრის, "ბეჭდების მბრძანებლის" კომპიუტერულ საიდუმლოებას, ისაუბრებენ "ვარსკვლავეთის ომების" გმირების შექმნის პროცესზეც. თუმცა, საუბართან და ლექციებთან ერთად, ექვსდღიანი კონფერენცია ტექნიკის ახალ მიღწევებს რეალურადაც წარმოადგენს, მაგალითად, დარბაზში ისეირნებს რობოტი-ფოტოგრაფი, რომელიც შეეცდება დამსწრეებს ფოტოები გადაუღოს, სპეციალურად მოწყობილ თეატრში კი თავის გამოჩენას შეეცდებიან ანიმაციის ვეტერანი და დამწყები სპეციალისტები, არტ-შოუს მოაწყობენ ციფრული ტექნიკის ექსპერტებიც. ერთი სიტყვით, ტეხასური მზის ქვეშ კიდევ ერთხელ განისაზღვრება კაცობრიობის ციფრული მომავალი, ნათლად გაირკვევა, თუ რას გვთავაზობს გასართობი ინდუსტრია მომავალში.

# ალმასებით დაფარული ცა



პარკ ქილესბერგის სტუმრებს ამაღამ ზღაპრული სანახაობა ელით: შტუტგარტის ცაში ასიათასობით შუშხუნა აიჭრება, ღია კაფეებსა და რესტორნებში სადღესასწაულო სუფრა იქნება გაშლილი, მუსიკოსები და ცირკის მსახიობები "ბრჭყვიალა" წარმოდგენას გამართავენ. დღეს არც ქალაქის იუბილეა და არც ვინმეს დაბადების დღე, უბრალოდ, ზაფხულია და ღამის პარკში დროის გატარება შესანიშნავად შეიძლება, შტუტგარტელებს კი ფეიერვერკის ყურებაც უყვართ, ალბათ ისევე, როგორც ყველა სხვა ადამიანს.

# დი კაპრიო ბედს თეატრში ცდის



REUTERS

ლონდონის ვარსკვლავებით გადაჭედილ ვესტ-ენდს მალე ახალი ცნობილი სახეები შეემატება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ლეონარდო დიკაპრიო და ტობი მაგუაიერი (ცნობილი კაცი-ობობა) ხელს მოაწერენ კონტრაქტს და სპექტაკლში "ეს ჩვენი ახალგაზრდობაა" მონაწილეობას მიიღებენ. კენეთ ლონერგანის ამ პიესის გამოსვლა გვიანი შემოდგომისთვის იგეგმება. ჯერჯერობით უცნობია, რომელი ვარსკვლავი ქალი გაუწევს მათ პარტნიორობას. თუმცა, საუბარია ნატალი პორტმანსა და კირსტენ დანსტზე. ლონერგანის 1996 წელს დაწერილი პიესა სამი მანჰეტენელი ახალგაზრდას ამბავს მოგვითხრობს, რომლებიც რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში ცხოვრობენ.

## TV პროგრამა 21 ივლისი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.15 მულტსერიალი
10.45 "ოქროს ვარდის გამოქვაბული"
11.15 სერიალი "ნიკიტა"
12.10 მხ.ფილმი
14.00 სიმფსონები
14.30 მხ. ფილმი
17.00 ჰერკულესის თავგადასავალი
18.00, 00.20 კურიერი
18.20 ქართული ფილმი
19.50 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
21.00 60 წუთი
22.25 ჩვენი ეზო
22.45 "ჯეოსელის კინოკლუბი". "მოგზაურობაც ამას ჰქვია ", "კარადა", "მაიკლ კოლინზი"
00.30 მხ.ფ. "ლოს-ანჯელესის საიდუმლოებანი" მთ.როლებში: კიმ ბესინჯერი, დენი დევიტო

### პირველი არხი

08.00, 15.00, 20.00, 00.00 "მოამბე"
08.15 მულტსერიალი "მამა კასტორის ამბები"
08.40 "მსოფლიოს ველური ბუნება"
09.25 მელომანია
10.00 დილის პაემანი
11.05 მხიარული კარუსელი
11.35 ფრანგული პროგრამა "მოდი ვიცეკვოთ"
12.00 მსოფლიოს ახალი ამბები
12.15 ბავშვები უპირველეს ყოვლისა
12.30 მიწის პროექტი საქართველოში
12.50 "მეტრო"
13.20 "მშვენიერების სამყარო"
13.45 გლობუსი
14.20 საკვირაო გამოფენა
14.35 არათბილისური ამბები
15.15 მხ. ფილმი "ღამე"
17.10 სატ. სპექტაკლი "შალვა რჩეულიშვილი"
18.15 "ბავშვთა უფლებების კონვენცია"
18.35 "მადმუაზელ მორო"
19.25 "ჩვენი მისამართია"
20.25 "საქართველო არის ესე"
20.55 ე. მეძმარიაშვილი
21.25 კონცერტი. რომა რცხილაძე, ვალერი სიუტკინი
00.15 სატ. კინოდარბაზი "ალი ბაბა და 40 ყაჩაღი"
01.15 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"

### მეორე არხი

19.00 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "ჩემი დედინაცვალი უცხოპლანეტელია"
21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნევ
21.45 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი "ამერიკელი პრეზიდენტი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.10, 12.10, 21.55, 00.45 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "ცისფერთვალება მიკი"
10.20 მხ.ფ. "ადამიანი რკინის ნიღაბით"
20.00 მხ.ფ. "აფრიკელი"
22.30 მხ.ფ. "პარფიუმი"
00.50 ღამის ფილმი.

### პირველი სტერეო

07.30 "მადლიანი ცნობა"
10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
13.00 "პრეს-პრესი" განმეორებით
14.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "კატები ძაღლების წინააღმდეგ"
16.00 "უცნობი" განმეორებით
17.00 ათეული
18.00 "სოლო" განმეორებით
19.00 მუსიკა
20.00 მო
22.00 ინფორმატორი
22.20 რეკლამის ათეული
23.00 "ცენტრი"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ხაფანგი". მთ. როლებში ტიმოთი დალტონი, პენელოპა კრუსი
01.55 ღამურა "ესპანელი მოსამართლეები". მთ. როლებში ვინსენტ დ ონოფრიო, მეტიუ ლილარდი.
03.15 ნონ-სტოპი.

### კავკასია

21.07 12.00 ინდ. მხ.ფილმი "სურვილი" 14.30 მხ.ფ. "კლდე" 16.35 მხ.ფ. "მტაცებელი 2" 18.20 დოკ. ფილმი "ნაციზმი" (მე-2 ნაწილი) 20.20 "ჯაზ-პარნასი" 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 21.00 მხ.ფ. "ბრონქსის ისტორია" 22.50 მხ.ფ. "ვარსკვლავური კარიბჭე" 00.20 მხ.ფ. "გულით ველური"

### მეცხრე არხი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20, 12.20, 20.50, 22.00, 00.10 მუსიკა
09.35 მულტფილმი "აბა დამაცადე"
10.00, 15.00 "დილა"
11.20, 14.05, 18.05 დისქავერი
12.30 გადაცემა "საუბრები სტუდიაში"
13.20 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
16.20 მხ.ფილმი "წყლის ფერია" მთ. როლებში ელენ ბიორკირი, სამანტა მეტისი, დევიდ კეი
19.00 მაცაცერა
19.10 მულტფილმი "აბა დამაცადე"
19.30 მსოფლიო ფეხბურთი
20.00 სად? რა? როდის?
21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
22.10 მხ.ფ. "ბანდიტები". მთ. როლებში ბრიუს უილისი, ბილი ბობ ტორნტონი, კეიტ ბლანშეტი
00.30 მხ.ფ. "მარკიზ დე სადი". მთ. როლებში დანიელ ოტოი, მარინა დენიკური, გრეგორ კოლენი

### აჭარის ტელევიზია

საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 "პერსონა"
10.00 ფანტასტიკა "ჯადოსნური პრინცი"
11.30 "Улово"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "თევზაობის ეროვნული თავისებურებანი"
13.50 "ყველანი ვართ პატარები"
14.00 მელოდრამა "გაუჩინარება"
15.25 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი "ეგვიპტის პრინცი-2"
17.30 სათავგადასავლო ფილმი "უკანასკნელი რაინდი" 2 სერითა
19.20 კომედია "გაპარული პატარძალი"
21.05 დოკუმენტური ფილმი
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.30 " Новости в воскресенье"
22.50 დოკუმენტური ფილმი
00.30 ისტორიული ფილმი "რუსული ბუნტი"
03.30 მელოდრამა "გრილ ბარი "დენთი""

### VII არხი

16.45, 22.30, 01,55 ანონსი
16.50,21.50 ამინდის პროგნოზი
18.45 მუსიკალური ტაიმაუტი
19.00 "აჩიკუდა"
19.30 "სახლიდან გაუსვლელად"
20.15 "ლა-ლა-ლა"
21.00 "საყვარელი ფილმი" - "მენავთობე ქალები" საფრანგეთი-იტალია.
1985 წელი. ვესტერნი. რეჟისორი - კრისტიან ჟაკი. როლებში: კლაუდია კარდინალე, ბრიჯიდ ბარდო.
22.30 "ავტოტრეკინგი"
23.20 "სახლიდან გაუსვლელად"
00.00 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "ავე ცეზარ" ა.შ.შ. 1998 წელი. კომედია. რეჟისორი - ენტონი მაიკლ ჰოლი. როლებში: ენტონი მაიკლ ჰოლი, რობერტ დაუნი.
01.30 "სახლიდან გაუსვლელად"
02.25 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.45 х.ф. "НЕ СОШЛИСЬ ХАРАКТЕРАМИ"
09.00, 11.00, 15.00 Новости.
09.10 Служу России!
09.40, 14.30 Дисней-клуб
10.05 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО"
11.10 "Спасатели"
11.30 Пока все дома.
12.40 х.ф. "ФУТБОЛИСТ"
14.25 "Ералаш"
15.10 Живая природа
16.10 х.ф. "БЕГЛЕЦ"
17.05 Сами с усами
17.35 "Жизнь моя - моя любовь". Концерт С. Ротару в Кремле
19.25 х.ф. "ЛУЧШЕ НЕ БЫВАЕТ"
22.00 "Другое Время"
22.45 х.ф. "РОКОВАЯ КРАСОТКА"
00.40 "На футболе" с Виктором Гусевым
01.25 х.ф. "БЕГИ"
02.55 Реальная музыка

### РТР

07.25 Фильм "КАПИТАН ПИЛИГРИМА"
08.55 "ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ"
09.50 Русское лото
10.40 "ТВ-Бинго шоу"
11.10 "КОРОЛЕВА КРАСОТЫ ИЛИ ОЧЕНЬ ТРУДНОЕ ДЕТСТВО"
11.35 Сам себе режиссер
12.35 "Городок"
13.05 х.ф. "ГОЛУБАЯ СТРЕЛА"
15.00 Вести. Вокруг света
16.00 Диалоги о животных
17.55 Автогонки. Формула 1
19.00 "КРАМЕР ПРОТИВ КРАМЕРА"
21.00 Вести недели.
21.55 Аншлаг
23.00 х.ф. "ГРОМОВОЕ СЕРДЦЕ"
01.25 Спорт за неделю
02.25 "Твин-пикс"
03.25 Дневник фестиваля искусств

### НТВ

08.10 Анонс дня
08.15 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО"
09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня.
09.15 фильм "ЗОЛОТОЙ КЛЮЧИК"
10.30 На старт! 11.00 Пагода на завтра
11.15 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
12.20 "Растительная жизнь"
13.25 ФИЛЬМ "ПОЕЗД ВНЕ РАСПИСАНИЯ"
15.20 Вкусные истории.
15.30 Все сразу!
16.05 Своя игра.
17.20 Ток-шоу "Принцип "Домино"
18.20 Очная ставка
18.50 фильм "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА"
20.30 фильм "ИРОНИЯ СУДЬБЫ, ИЛИ С ЛЕГКИМ ПАРОМ!"
00.20 Что? Где? Когда?
01.35 Фильм "НА ВОЛНЕ СМЕРТИ"
03.10 Пепси-чарт.

## სკანდინავიური კროსვორდი

